ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 18 ნოემბერი, 2015 №271 (6891) ფასი: 50 თეთრი




## უკრაინის გენერალური პროკურორი შესაძლოა ქართველი გახდეს

გვ.5

ვინ შეცვლის შოკინს, საყვარელიძე თუ ადეიშვილი?

# ზურაბ აბაშიძე: „ღარიბაშვილს ერთ რჩევას მივცემდი“



გვ.4



## დააყენებს თუ არა საკრებულო დავით ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხს



გვ.5



ზაზა ვეკუა: „დედაქალაქის მერს მერიაში არაფერს ეკითხებიან“

## ირმა ინაშვილი: „თავდაცვის მინისტრს შიმშილობის გარეშეც გადავაყენებთ“

ემზარ კვიციანი და 3 სხვა მოშიმშილე საავადმყოფოში გადაიყვანეს




გვ.2



დღეს თავდაცვის სამინისტროს წინ საპროტესტო აქცია გაიმართება



## „ვერ ვხვდები, რა ყურადღება უნდა მიაქციოს მოშიმშილეებს ხელისუფლებამ“

სოფიო ხორგუანი: „ქართულ ოცნებას“ გადახალისება მოუწევს“

გვ.3

## ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს ცენტრალური გათბობის სისტემებს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს




გვ.6

ISSN 1987-9385

## ლევან იზორია: „საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის“



გვ.7

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირმა ინაშვილი: „თავდაცვის მინისტრს შიმშილობის გარეშეც გადავაყენებთ“

შორენა მარსაგიშვილი



## ემზარ კვიციანი და 3 სხვა მოშიმშილე საავადმყოფოში გადაიყვანეს






## დღეს თავდაცვის სამინისტროს წინ საპროტესტო აქცია გაიმართება

**პატრიოტთა ალიანსის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. გუშინ, 17 ნოემბერს, 4 მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების გადაწყვეტილებით, ოთხივემ შიმშილობა შეწყვიტა.**

– საპროტესტო აქციის მეათე დღეს ადა მარშანიას, ემზარ კვიციანის, მანანა აბუსერიძისა და ლალი ხუციშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ ექიმებმა სასწრაფო დახმარების ავტომანქანამდე ისინი საკაცით მიიყვანეს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში პატრიოტთა ალიანსის წევრმა მარინა მოლოდინმა.

ალიანსის ლიდერ ირმა ინაშვილის განცხადებით კი აქციის ყველა მონაწილე, რომელთა ჯანმრთელობასაც საფრთხე დაემუქრება, კლინიკაში გადავა, თუმცა შიმშილობის შეწყვეტას პარტიის წევრები არ აპირებენ.

– მე მაოგნებს ხელისუფლების სიყრუე და სიბრმავე. ეს არის არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობა. ცუდია, ხელისუფლება იმ ხალხს, რომელმაც ის აირჩია, ასე რომ ეპყრობა, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

თავად ირმა ინაშვილი თავს ისევ მხნედ გრძნობს და დარწმუნებულია, რომ თავდაცვის მინისტრის გადაყენებას შეძლებს.

– ჩვენი აქცია ლეგიტიმურ მოთხოვნებს ეძღვნება და არა – თინიკო ხიდაშელს. დიდი პატივი იქნებოდა მისთვის, ამდენ წესიერ ადამიანს რომ ეშიმშილა. თავდაცვის მინისტრს ყოველგვარი შიმშილობის გარეშე გადავაყენებთ თანამდებობიდან. შიმშილობის მთავარი მიზანი 2016 წლის საარჩევნო გარემოა, – ამბობს პატრიოტთა ალიანსის ლიდერი.

მისი თქმით, ხელისუფლებას არ სურს იმის გაგება, რომ ისინი მხოლოდ საგარეჯოს არჩევნებს არ აპროტესტებენ.

– ხელისუფლება თამაშობს, თითქოს არ ესმის. ჩვენ აღარ ვსაუბრობთ საგარეჯოზე, ვსაუბრობთ 2016 წლის არჩევნების პერსპექტივაზე. ვითხოვთ, საჯაროდ დაადასტუროს ხელისუფლებამ, არის თუ არა მზად, შეცვალოს საარჩევნო გარემო და სისტემა, – აღნიშნავს მოშიმშილე.

სანამ ხელისუფლება რამე განმარტებას გააკეთებს, ინაშვილი წინასწარ აკეთებს დასკვნებს და მოითხოვს, არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდეს.

– არჩევნებში მონაწილეობა უნდა გახდეს სავალდებულო. მაშინ მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით ველარ მოახდენენ ერთისა და იმავე ამომრჩევლის ბზრიალს ერთი საარჩევნო უბნიდან მეორისკენ. არის კიდევ სხვა მოთხოვნები, რაზეც შევთანხმდებით ან ვერ შევთანხმდებით, მაგრამ არ ჩანს ხელისუფლების სულისკვეთება, რომ მას თავისუფალი არჩევნების ჩატარება სურს! ჩანს, რომ ხელისუფლება 2016 წლის არჩევნების გასაყალბებლად ემზადება, – მიიჩნევს პატრიოტთა ალიანსის ლიდერი.

ხელისუფლების მიმართ მას სხვა პრეტენზიებიც აქვს. ის ფიქრობს, რომ „ქართული ოცნების“ წყალობით მათი აქცია არაადამიანურ პირობებში მიმდინარეობს.

– სრულიად გამაოგნებელია, რაც იკადრა ხელისუფლებამ მოშიმშილეების მიმართ. არანაირი ყურადღება, პირიქით, დაუშვა, რომ მოშიმშილეებს ღამე გაეთენებინათ ღია ცის ქვეშ, წვიმასა და ქარში. ეს ქმედება პირდაპირ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა, – აცხადებს ინაშვილი.

აქციის 4 მონაწილეს, მართალია, შიმშილობის შეწყვეტა მოუხდა, მაგრამ, როგორც ინაშვილი ამბობს, ამ ფაქტს აქციის მონაწილეების საბრძოლო განწყობაზე არ უმოქმედია.

მისი განცხადებით, შიმშილობის აქცია ჯაჭვური შიმშილობის ფორმაზე გადავიდა და ის არ შეწყდება.

პატრიოტთა ალიანსი, ეტყობა, ამ ბრძოლაში სიახლეების დანერგვას აპირებს. როგორც ირმა ინაშვილმა აღნიშნა, 21 ნოემბერს გაიმართება დიდი საპროტესტო აქცია, სადაც საგანგებო განცხადება გაკეთდება.

გავრცელებული ინფორმაციით, პატრიოტთა ალიანსის წევრებმა, შესაძლოა, მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორია დატოვონ და საშიმშილოდ თავდაცვის სამინისტროს მიადგნენ. როგორც ამბობენ, მათი რისხვა, შესაძლოა, გიგლა აგულაშვილის სამინისტროსაც დაატყდეს თავს.

* * *

საგარეჯოს არჩევნების გამო თავდაცვის მინისტრის ჯინი, ინაშვილის გარდა, ეტყობა, სხვებსაც სჭირთ. სანამ ალიანსელები რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ, საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული მოძრაობა დღეს, 18 ნოემბერს, თინა ხიდაშელის გადადგომის მოთხოვნით აქციას გამართავს.

მათი თქმით, არ შეიძლება, ქვეყნის თავდაცვა ხმის ქურდების ხელში იყოს.

საგარეჯოს არჩევნების გარდა, მათ ხიდაშელთან სხვა პრეტენზიებიც აქვთ.

– წარმოუდგენელია, ისეთი უწყება, როგორიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროა, ებარებოდეს თინა ხიდაშელს, ქვეყნის საკეთილდღეო ინტერესებზე ყველაზე ნაკლებად მოტივირებულ და უპასუხისმგებლო მინისტრს.

იმის მაგივრად, რომ მინისტრი ფიქრობდეს ქართული ჯარის განვითარებაზე, გაძლიერებასა და იმ რეალური სტანდარტების დამკვიდრებაზე, რომლებიც იქნება გარანტი ჯარის სისტემის სრულყოფილებისა, ხიდაშელი, პირიქით, ცდილობს, დაასუსტოს და მისი გრანტიჭამია ორგანიზაციები თბილისის პარლამენტის შენობასთან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების მოთხოვნითა და პარლამენტში ინიცირებული შესაბამისი კანონპროექტის მხარდასაჭერად აქციას მართავენ. გამოსავლად სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმება ესახებათ და არა – რეფორმის გატარება, რომელიც შეძლებს იმ ნორმის დარეგულირებას, რომელიც ჯარს სრულყოფილს გახდის. ასევე იგივე ორგანიზაციები ქვეყნის ნარკოტიზაციას უჭერენ მხარს, – აცხადებენ საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული მოძრაობის წევრები.

## თინა ხიდაშელი უშიშროების საბჭოს სხდომას არ დაესწრება

### „3 დეკემბრამდე საქართველოში ფიზიკურად არ ვიქნები“



ნოემბრის განმავლობაში უშიშროების საბჭო მორიგ სხდომას გამართავს.

თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის თქმით, უშიშროების საბჭოს სხდომას ის საგარეო ვიზიტის გამო ვერ დაესწრება.

როგორც ხიდაშელი ამბობს, მან პრეზიდენტისგან უკვე მიიღო შეტყობინება სხდომაზე დასასწრებად, სადაც კონკრეტული თარიღია მითითებული.

მინისტრის განცხადებით, ამ პერიოდში მას 5 ვიზიტი აქვს დაგეგმილი.

– შეხვედრებზე ვისაუბრებთ საფრთხეების ანალიზზე, რაც ამ პარტნიორობის რეჟიმში მყოფ ქართულ სახელმწიფოსა და ჩვენს რეგიონს შეიძლება ემუქრებოდეს, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მან თქვა, რომ მიიღო შეტყობინება უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვასთან დაკავშირებით კონკრეტული თარიღის მითითებით.

– სამწუხაროდ, 3 დეკემბრამდე საქართველოში არ ვიქნები. მე თავდაცვის მინისტრი ვარ და ქვეყნის მთავარსარდალი სადაც დამიძახებს, იქ ვიქნები. უბრალოდ, 3 დეკემბრამდე ფიზიკურად არ ვიქნები, 5 ვიზიტი მაქვს ერთმანეთის მიყოლებით, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

## ევროკავშირმა საფრანგეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევას მხარი დაუჭირა

ევროკავშირმა საფრანგეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევას დაუჭირა მხარი და ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 42.7 მუხლი აამოქმედა. ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა.

როგორც „ბიბისი“ იტყობინება, შესაბამისი გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა პარიზის ოფიციალური მიმართვის შემდეგ მიიღეს.

– დღეს ევროკავშირმა, წევრი სახელმწიფოებს თავდაცვის მინისტრების გადაწყვეტილებით, ერთხმად გამოუცხადა საფრანგეთს სრული მხარდაჭერა და საჭირო დახმარების გაწევის მზადყოფნა, – განაცხადა მოგერინიმ.

საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს მიმართა ოფიციალური თხოვნით, მხარი დაუჭირონ საფრანგეთს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში სირიასა და ერაყში, ასევე გაუწიონ სხვა სამხედრო სახის დახმარება. ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 42.7 მუხლის თანახმად, „თუ წევრი სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე



შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლი გახდა, სხვა წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაეროს წესდების 51-ე სტატიის შესაბამისად, დახმარება და მხარდაჭერა ყველა შესაძლო საშუალებით გაუწიონ“.

**ინტერპრესნიუსი**

## ევროკავშირი საქართველოში პოლიტიკურ ძალებს მიმართავს

ევროკავშირი საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებს, უზრუნველყოს თავისუფალი და პლურალისტური მედია და პოლიტიკური გარემო. ამის შესახებ ნათქვამია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ პრესრელიზში, რომელიც ევროპული საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

განცხადების თანახმად, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე საჭიროა „დემოკრატიული იმპულსის“ შენარჩუნება.

როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, ევროკავშირმა ასევე მოუწოდა „საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალას, უზრუნველყოს თავისუფალი და პლურალისტული მედია და პოლიტიკური გარემო“, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წინაპირობაა და თავი შეიკავონ ისეთი ნაბიჯებისა თუ განცხადებებისგან, რომელიც დაძაბულობას გაზრდის და პოლარიზებას შეუწყობს ხელს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან თედიაშვილი: „ეს მთავრობა შიმშილობის აქციაზე არ მოდის, თორემ მწვადებზე მოვიდოდა“

## ლალი ხუციშვილი: „დამიმტკიცოს თინა ხიდაშელმა, რომ რუსეთის აგენტი ვარ“

მარიამ მჭედლიშვილი



**მთავრობის ადმინისტრაციასთან 8 ნოემბერს დაწყებული შიმშილობის აქცია გრძელდება. „ახალი თაობა" მოშიმშილეებს გუშინ, 17 ნოემბერსაც ეწვია. ამ დროისთვის მოშიმშილეების რაოდენობა 44 იყო. მოსალოდნელია აქციის მონაწილეების რაოდენობის გაზრდა.**

აქციაში მონაწილეობენ როგორც საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერები და წევრები, ისე მათი მხარდამჭერები. გარდა ამისა, ორგანიზებული ხასიათი მიეცა მოქალაქეების მორიგეობას. ამ მიზნით შექმნილია მობილური ჯგუფები.

შიმშილობის აქციები მიმდინარეობს რეგიონებშიც. ყველგან გამოითქმება პროტესტი შუალედური არჩევნების შედეგების გამო, გაისმის არჩევნების გაყალბებაში მონაწილე მინისტრებისა და სხვა ჩინოსნების გადაყენების, გაყალბების საქმის გამოძიების, ასევე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნები. აჭარაში ამას დაემატა ქობულეთის პოლიციელების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების გაპროტესტება.

როგორც „ახალმა თაობამ“ შეიტყო, აქციის თბილისის მონაწილეებთან მივიდნენ ეროვნული ფორუმის წევრები. მათ უკმაყოფილება გამოთქვეს მიმდინარე პროცესებში საკუთარი პარტიის პოზიციით, ეროვნული ფორუმის დატოვებისა და აქციის მონაწილეებთან შეერთების სურვილი გამოთქვეს.

პარტიელების თხოვნის მიუხედავად, პროტესტს აგრძელებს ლეგენდარული სპორტსმენი, პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი ლევან თედიაშვილი.

— კარგად ვიცი, როგორ ჩატარდა 31 ოქტომბერს შუალედური არჩევნები საგარეჯოში. იქ გაიმარჯვა ირმა ინაშვილმა. არჩევნები გაყალბდა. ამის გამო დავიწყეთ შიმშილობა. შეიძლება მერე დაუმორჩილებლობაც გამოვაცხადოთ. მინისტრებმა, რომლებიც გაყალბებაში მონაწილეობდნენ, უნდა დატოვონ თანამდებობები, — გვითხრა ლევან თედიაშვილმა.

მისი თქმით, აქ საქმე გვაქვს არა უნებლიე შეცდომებთან, არამედ, შეგნებულ გაყალბებასთან, ანუ დანაშაულთან, რომელშიც შეგნებულად მონაწილეობდნენ თანამდებობის პირები.

— თინა ხიდაშელი და დავით უსუფაშვილი იურისტები არიან. მათ ყველაფერი კარგად იციან, — ამბობს ლევან თედიაშვილი, რომელიც სერიოზულ პრობლემებზე ნახევრად ხუმრობით საუბრობს.

— როგორ ფიქრობთ, მიაღწევთ ხიდაშელისა და აგულაშვილის გადაყენებას?

— ჩვენ ბრძოლას გავაგრძელებთ. ეტყობა, სკამები არ ეთმობათ. როცა დეპუტატი ვიყავი, სახელმწიფო ატრიბუტიკის საკითხებს განვიხილავდით. უნდა დაგვემტკიცებინა ჰიმნი, გერბი და დროშა. მაშინ წამოვაყენე წინადადება, რომ დროშაზე სკამი გამოგვესახა. სკამი არის სიმბოლო, რომლისთვისაც ბევრი ყველაფერს კადრულობს. ახლაც მინისტრებს სკამები არ ეთმობათ. მაშინდელივით ახლაც ავწიე ხელი უკანა მერხზე მჯდომი მოსწავლესავით, მამლის სარგებლობაზე რომ ლაპარაკობს.

ასეთი წინადადება გავაცანი ირმა ინაშვილს — ვინაიდან მთავრობა შიმშილობის აქციაზე არ მოდის, მოდით, რამდენიმე ღორი დავკლათ, მწვადები შევწვათ და მწვადებზე აუცილებლად მოვლენ-მეთქი. სამწუხაროდ, არ დამიჯერეს. აქციაზე ისევ არ მოდის მთავრობა. სამაგიეროდ, ხალხი მოდის და მხარს გვიჭერს.

აქციაში მონაწილეობს საგარეჯოელი ვაჟა კევლიშვილი, რომელიც პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერია.

— საგარეჯოში 12 კაცი შიმშილობს. პირადად მე აქ გამოვთქვამ პროტესტს. არჩევნებმა ჩვენ თვალწინ ჩაიარა. ჩვენი რჩეული ირმა ინაშვილია. ამაზე ტელეკომპანია იმედმაც მოაწყო გამოკითხვა. ისე, შიმშილობით 10 წელიწადზე მეტია, ვშიმშილობ. სხვებიც ასე არიან.

— აქციაზე წამოყენებულ სხვა მოთხოვნებს, მაგალითად, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასაც ეთანხმებით?

— ალიანსის მხარდამჭერი ვარ და ყველაფერს ვეთანხმები.

შიმშილობის აქციაში მონაწილეობს დამოუკიდებელი ჟურნალისტი ლალი ხუციშვილი, რომელიც თავად აკვირდებოდა არჩევნებს იორმუღანლოში.

— პროტესტს გამოვთქვამ არა მარტო იმის გამო, თუ როგორ უსამართლოდ ჩატარდა არჩევნები იორმუღანლოში, არამედ, იმიტომაც, რომ ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს შიმშილობის აქციას და ცუდად გვექცევა მოშიმშილეებს, — განუცხადა „ახალ თაობას“ ლალი ხუციშვილმა.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი კვალიფიციურ სუბიექტად ითვლება, მაგრამ საარჩევნო კომისიებში წევრები არ ჰყავს. ლალი ხუციშვილი იორმუღანლოში ირმა ინაშვილის წარმომადგენელი იყო.

— ნაციონალური მოძრაობა 2003 წელს არჩევნების გაყალბების თემის წამოწევით მოვიდა ხელისუფლებაში. საუბედუროდ, ახლაც არაფერი შეცვლილა. შუალედური არჩევნების დროს გამოიყენეს ხათუნა გოგორიშვილის კარუსელები ახალი დეტალებით. იქ იყო 5 ქორწილისა და 3 გასვენების იმიტაცია.

კომისიის წევრები მმართველი კოალიციისა და ნაციონალური მოძრაობიდან იყვნენ. საერთოდ, ისინი ერთად მუშაობდნენ გაყალბებაზე. ამისთვის გამოიყენებოდა როგორც ადმინისტრაციული რესურსი, ესე ნაციონალური მოძრაობის შესაძლებლობები, — ამბობს ლალი ხუციშვილი.

მისი სიტყვებით, იორმუღანლოში, სადაც ქართული ენის არმცოდნე აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს, კარუსელების გარდა, აქტიურად გამოიყენებოდა ზეწოლისა და დაშინების მეთოდებიც. ზოგს პენსიის მოხსნით ემუქრებოდნენ, ზოგს დაპირებას აძლევდნენ. ნაწილს საარჩევნო უბნებზე მისვლა აუკრძალეს. ყველა ამომრჩეველს მოუწოდებდნენ, შემოეხაზათ 41, აზერბაიჯანულად „გირხ ბირ“.

— როგორც ჟურნალისტი და მოქალაქე, ვაპროტესტებ იმას, რომ არ გვაძლევენ კარვის დადგმის უფლებას. როცა წვიმაში კუსტარულ თავშესაფარს ვაწყობთ, გამოდარების შემდეგ იმასაც საჩქაროდ გვალებინებენ. საბნებსაც მარტო ღამით ვიყენებთ. დღისით ესეც აგვიკრძალეს.

გუშინ თინა ხიდაშელმა სასოწარკვეთილები გვიწოდა. მინდა მას ვუპასუხო, რომ სასოწარკვეთილები არა ვართ. კანონს არ ვარღვევთ. გვაქვს კონკრეტული მოთხოვნები. ხიდაშელი ჩვენ ცილს გვწამებს და რუსეთის აგენტებს გვიწოდებს. 8 წელიწადი ევროპაში ვიცხოვრე. დამიმტკიცოს თავდაცვის მინისტრმა, რომ რუსეთთან რაიმე კავშირი მაქვს!

# „ვერ ვხვდები, რა ყურადღება უნდა მიაქციოს მოშიმშილეებს ხელისუფლებამ“

## სოფიო ხორგუანი: „ქართულ ოცნებას“ გადახალისება მოუწევს“

ნონა ცაბაძე





**პატრიოტთა ალიანსი კანცელარიასთან შიმშილობას კვლავაც განაგრძობს. მოშიმშილეთა მხრიდან კეთდება შეფასებები, რომ ხელისუფლება მათ სრულ იგნორირებას უკეთებს. ასევე ყურადღებას არ აქცევენ არასამთავრობო ორგანიზაციები.**

კრიზისების მენეჯერი სოფიო ხორგუანი ასე არ ფიქრობს.

— მე ვერ ვხვდები, რა ტიპის ყურადღება უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან. ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ხერხი, რადიკალური აქცია. კონკრეტულმა პოლიტიკურმა პარტიამ მიმართა ამ გზას, — ამბობს სოფიო ხორგუანი.

***— ამაზე რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება?***

— ხელისუფლება რეაგირებს ისე, როგორც რეაგირებს. ხელისუფლება უარყოფს იმას, რომ იქ გაყალბება მოხდა. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებიც მოვისმინე ამ არჩევნებთან დაკავშირებით, სადაც განსაკუთრებულ დარღვევებზე საუბარი არ არის. სულ რამდენიმე დარღვევა ახსენეს მათ. რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ ყოფილა.

***— მაშინ რა გამოდის, რომ ინაშვილი ტყუილად შიმშილობს?***

— არსებობს სამართლებრივი გზა, როდესაც სასამართლოთი დაამტკიცებ შენს სიმართლეს. თუმცა ესეც ერთ-ერთი გზაა, როდესაც აქციას ატარებ, თანაც ასეთ უკიდურეს ფორმას მიმართავ. რაც შეეხება ხელისუფლებას, სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ მათ პრობლემას არავინ უქმნიდეს, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეექმნებათ პრობლემა, მობილიზებული უნდა იყოს სამედიცინო სამსახური და დაცული უნდა იყოს მათი უსაფრთხოება.

***— ანუ მათი უფლებები არ ირღვევა?***

— ეს არის აქცია და მოდით მივეჩვიოთ ამას, რომ პოლიტიკოსებს აქვთ უფლება, გამოიყენონ პოლიტიკური ბრძოლის ის ხერხები, რომლებიც მათთვის არის მისაღები, რომელთაც თავად აირჩევენ. მთავარია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ამ ნების გამოხატვის შესაძლებლობა.

***— როდესაც პრეზიდენტის მრჩეველმა, ფიქრია ჩიხრაძემ მოინახულა მოშიმშილეები, ამ ფაქტმა თინა ხიდაშელი გაანაწყენა. სწორედ ამ ფაქტორის გამო ხომ არ ერიდებიან ხელისუფლების წარმომადგენლები მათთან მისვლას და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას?***

— მოდით, ინტერპრეტაციას ნუ მოვახდენთ. მე მოვისმინე ფიქრია ჩიხრაძისა და თინა ხიდაშელის პოზიციაც. ფიქრია ჩიხრაძე ამბობს თავის პოზიციას, რომ ჩვენი საარჩევნო სისტემა დასახვეწია და ამას არ უარყოფს არავინ ამ ქვეყანაზე, ნამდვილად არ გვაქვს იდეალური და აწყობილი საარჩევნო სისტემა. ხიდაშელიც კონკრეტულ კითხვებზე სცემს პასუხს. მე ფიქრია ჩიხრაძისგან არ მომისმენია განცხადება, რომ არჩევნები გაყალბდა!

***— თავად თქვენი პოზიცია როგორია, გაუყალბეს ინაშვილს შედეგები?***

— მე ნამდვილად არ შემიძლია იმის თქმა, რომ ეს არჩევნები გაყალბდა და შედეგები უნდა გაბათილდეს. არსებობს სასამართლო და ეს ყველაფერი სასამართლომ უნდა გაარკვიოს. არჩევნები ხომ არ არის მარტო არჩევნების დღე? იყო უამრავი დამკვირვებელი, არიან არასამთავრობოები. დაიდება ყველას შეფასება. მე ვენდობი ამ რამდენიმე კომპეტენტურ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც პროცესს აკვირდებოდა და აცხადებს, რომ სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

***— ანუ ინაშვილი აქციებს არ უნდა მართავდეს?***

— მე არ მითქვამს, რომ ინაშვილმა აქცია არ უნდა გამართოს. მას სჯერა, რომ არჩევნები გაუყალბეს. ამიტომ აქცია არის პოლიტიკური ბრძო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზურაბ აბაშიძე: „ღარიბაშვილს ერთ რჩევას მივცემდი“

ნათია ხურცილავა

**„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ზურაბ აბაშიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ირაკლი ალასანიას გამოცდილება ანტიტერორისტული მიმართულებით ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს.**





**ზურაბ აბაშიძე:**

— აუცილებელია, ანტიტერორისტული და საზღვრის დაცვის მიმართულებით ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას. უნდა გაიზარდოს ამ მიმართულებით დაფინანსებაც და სტრუქტურების მხარდაჭერაც იმისთვის, რომ საქართველო უფრო ეფექტურად იყოს ჩართული ანტიტერორისტულ საერთაშორისო მისიებსა თუ ქვეყნის შიგნით. ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი როდესაც დღის წესრიგში დგება, მაშინ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ზღვარი არ უნდა ივლებოდეს. ჩვენ მზად ვართ, ამ პროცესში აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა.

***— რა ფორმით?***

— მოგეხსენებათ, ირაკლი ალასანიას რა გამოცდილება აქვს ამ მიმართულებით. ხელისუფლებამ ამ კუთხით უნდა ითანამშრომლოს ალასანიასთან, მე რომ ვიყო დღეს ხელისუფლებაში, სწორედ ასე მოვიქცეოდი. ჩვენ პარლამენტში ვაპირებთ გარკვეული ინიციატივის წარდგენას.

***— დაფინანსების გაზრდის მოთხოვნით გამოდიხართ, მაგრამ ხელისუფლება, საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ ვერ ხედავს არგუმენტებს. რას უპასუხებთ?***

— ამიტომ არის საჭირო დისკუსიის დაწყება ამ საკითხზე. ურემი რომ გადაბრუნდება, ღმერთმა დაგვიფაროს, მერე აპირებენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, თუნდაც დაფინანსების გაზრდას?! დღეს ეს უნდა იყოს პრიორიტეტი. თუ ხელისუფლება ფიქრობს, რომ ის წარმატებულია და ყველაფერს თავს გაართმევს, ასე არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიწრო პარტიული ინტერესებიდან კი არა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გამოვდივართ. ტერორიზმმა არ იცის შენი და ჩემი.

***— უკვე მოიწვია პრემიერ-მინისტრმა უსაფრთხოების საბჭოს სხდომა.***

— მხოლოდ ამით ვერ შემოიფარგლებიან.

***— ასევე უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია პრეზიდენტმა, თუმცა ჯერ უცნობია, დაესწრება თუ არა მას პრემიერ-მინისტრი.***

— აუცილებლად უნდა დაესწროს, მაგრამ ეს კინკლაობა, რაღაც გაწევ-გამოწევა, რომელი უფრო მალე ჩატარდება, მივა თუ არა უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრი თუ არ მივა, ეს რომ არის მთავარი თემა, უბრალოდ, სამარცხვინო ამბავია.

უშიშროების საბჭოს ქვეყნის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს და მას აუცილებლად უნდა დაესწროს პრემიერი ღარიბაშვილი. დღეს ამის თქმა რომ გვიწევს, ეს უფრო სამარცხვინო მგონია. მერწმუნეთ, უშიშროების საბჭოზე მისვლით ღარიბაშვილს ჩინ-მენდლები ნამდვილად არ დასცვივდება. მე ახლოს რომ ვიყო ხელისუფლებასთან, აუცილებლად ერთ რჩევას მივცემდი.

***— და რა რჩევა იქნებოდა ეს?***

— უშიშროების საბჭოს სხდომას დაესწროს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს სახელმწიფოებრივად იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება, ეს უნდა გააცნობიეროს ირაკლი ღარიბაშვილმა. ეს უფრო მეტ ნდობას გააჩენდა საზოგადოებაში მისდამი.

***— ალასანიას გამოცდილება რა კუთხით შეიძლება ამ შემთხვევაში გამოიყენოს ხელისუფლებამ?***

— ამაზე თავად ირაკლი ალასანია ისაუბრებს, მაგრამ ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის ლიდერს აქვს საკმაოდ სერიოზული გამოცდილება ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობის, თავდაცვის სფეროში მუშაობის. პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით მნიშვნელოვანია ალასანიას ჩართულობა.

***— დღეს ხელისუფლებისთვის მთავარი გამოწვევა რა არის?***

— 25 წელია, იგივე წრეზე ვტრიალებთ, თითქოს ეს არის მოჯადოებული წრე, რომელიც ვერ გავარღვიეთ. კვლავ საარჩევნო გარემოზე თუ მომიწევდა საუბარი, არ მეგონა. ისევ ამაზე გვიწევს არათუ საუბარი, ბრძოლა. 2012 წლის არჩევნები სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ბრძოლა იყო, მაგრამ ეს გადავლახეთ.

***— 2016 წლის არჩევნებსაც ასე მოიაზრებთ?***

— არა, რა თქმა უნდა, 2016 წლის არჩევნები არ იქნება სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა, მაგრამ ეს არჩევნები იქნება გარდამტეხი. ნიშანი იმისა, ჩვენ დემოკრატიისკენ წავალთ თუ უკან გადავდგამთ დიდ ნაბიჯს. ამ არჩევნებით საქართველო ან გადალახავს დემოკრატიის ზღვარს, ან დავრჩებით სიბნელეში, წყვდიადში, იმ სტაგნაციაში, რომლის მომავალიც არსაითკენ იქნება.

ჩვენ გვახსოვს, ნაციონალური მოძრაობა როგორ იყო ძალაუფლებას ჩაბღაუჭებული და ყველა გზით ცდილობდა მის შენარჩუნებას, ოღონდ როგორმე არ დაეთმო ძალაუფლება, ყველაფერზე წავიდა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით შევძელით ქვეყნის ამ სენისგან განთავისუფლება. დღეს ისევ ძალაუფლებაზე ჩაბღაუჭებულ ხელისუფლებას საზოგადოება ვერ აიტანს.

***— თუმცა, საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობები მძლავრობს. უმრავლესობა არჩევნებზე წასვლას არ აპირებს, რადგან არ იცის, ვის მისცეს ხმა. ეს არ არის პრობლემა?***

— ეს დიდი პრობლემაა. გეთანხმებით, დღეს ადამიანებს პოლიტიკის გაგონება აღარ უნდათ, ჩვენ დავკარგეთ ნდობა ადამიანებში, როგორც პოლიტიკოსებმა და ეს ყველაზე ცუდია, რაც ხელისუფლების უუნარობამ გამოიწვია. საზოგადოების მიერ პოლიტიკური პროცესი არის იგნორირებული.

***— რა არის ამის მიზეზი?***

— ამის მთავარი მიზეზი ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებების არშესრულებაა. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ნაციონალური მოძრაობა ისევ ხელისუფლებაში დაბრუნებას ფიქრობს. თუმცა, მის მიმართ პოლიტიკური განაჩენი ქართველმა საზოგადოებამ დიდი ხნის წინ გამოიტანა და მათ არა უთხრა.



## ირაკლი ალასანიას დაკითხავენ?



დღეს გახდება ცნობილი, დაიკითხება თუ არა სერგო თეთრაძის საქმეზე თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია.

აღნიშნული შუამდგომლობით სასამართლოს თეთრაძის საქმეზე ბრალდებულ ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა მიმართეს.

გარდა ამისა, ადვოკატებს რამდენიმე შუამდგომლობა ჰქონდათ, მათ შორის ისინი მოითხოვენ საქმეზე ევროსაბჭოს რეზოლუციის დართვას, რომლის მიხედვითაც ბაჩო ახალაიასთვის თეთრაძის საქმეზე აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული პატიმრობა უკანონოა.

ადვოკატებმა ითხოვეს, ახალაიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს. რამდენიმე შუამდგომლობას, რომელიც დაცვის მხარემ დააყენა, შეეწინააღმდეგა პროკურატურა.

**ინტერპრესნიუსი**

## რა მოხდა ევროკავშირის ლიდერების თვითმფრინავში



ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან კლოდ იუნკერისა და ევროკავშირის პრეზიდენტ დონალდ ტუსკის თვითმფრინავი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ორშაბათს საღამოს თურქეთში დაეშვა.

„როიტერის“ ცნობით, ევროკავშირის ლიდერები „ბელგიური ავიახაზების“ თვითმფრინავით „დიდი ოცეულის“ სამიტიდან ბრიუსელში ბრუნდებოდნენ. ტუსკს და იუნკერს შეატყობინეს, რომ თვითმფრინავს პრობლემები ჰქონდა და ახალი თვითმფრინავისთვის მოცდა, სავარაუდოდ, სამშაბათის შუადღემდე მოუწევდათ. როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი აცხადებს, თურქეთის შესაბამისი სამსახურები ფაქტს იძიებენ.

„როიტერის“ ინფორმაციით, ანტალიიდან განსახორციელებელ სხვა რეისებში ცვლილება არ შესულა.

**ინტერპრესნიუსი**

## იუვალ ფუქსი: „ჩვენ მხოლოდ ერთად ყოფნით შეგვიძლია, გავიმარჯვოთ ტერორიზმზე“



საქართველოში ისრაელის ელჩმა იუვალ ფუქსმა თბილისის საკრებულოში ჟურნალისტებს განუცხადა:

— ჩვენ ყველანი ვდგავართ ფრანგი ხალხის გვერდით ამ მძიმე წუთებში. ჩვენ წლებია ვდგევართ ტერორიზმის პრობლემის წინაშე და მოვალე ვართ, წინ აღვუდგეთ ტერორიზმს.

მხოლოდ ერთად ყოფნით ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ ტერორიზმზე, თითოეული ქვეყანა, მათ შორის საქართველო, რომელშიც ვცხოვრობთ, უნდა იყოს ჩართული და იმოქმედოს წინასწარ იმისთვის, რომ ასეთი ფაქტები არ მოხდეს მოქალაქეების, დიპლომატების წინააღმდეგ.

ეს არის მხოლოდ მესიჯი, რომელიც მოდის მსგავსი მოვლენებიდან, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ, ვფიქრობ, უნდა ითქვას, რომ მთავარია, ჩვენი სამძიმარი გამოვხატოთ ფრანგი ოჯახებისა და მათი მეგობრების მიმართ, რომ ჩვენ მათთან ერთად ვართ, — აღნიშნა იუვალ ფუქსმა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ვერ ვხვდები, რა ყურადღება უნდა მიაქციოს მოშიმშილეებს ხელისუფლებამ“

დასაწყისი მე-„ გვერდზე

ლის ხერხი და მათ აქვთ უფლება, რომ გამოიყენონ ეს. საარჩევნო წელი დგება, სიტუაცია კიდევ უფრო საინტერესო გახდება. პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვანაირი ხერხები არსებობს და ვისაც რომელს უნდა, იმას მიმართავს. ყველას სხვადასხვა გემოვნება აქვს.

***— იძლევა დღეს ხელისუფლება ამ ბრძოლის ხერხების გამოყენების საშუალებას?***

— ერთ-ერთი, რასაც მე დღეს ვუფასებ ამ ხელისუფლებას, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რამ და ეს არის პოლიტიკური პლურალიზმი. ანუ არ ხდება ის, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. სულ ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე პოლიტიკოსები. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ სივრცე იყო ჩაკეტილი და იქ არავინ შეგვიშვებდა.

***— დღესაც იგივე არ ხდება? ერთ პოლუსზე „ოცნების“ ხელისუფლებაა, მეორეზე — ნაციონალები. რა შეიცვალა?***

— ვერ დაგეთანხმებით. ასე არ არის. წამოვიდნენ წინა პლანზე ახალი პოლიტიკური სახეები. მე ვერც იმაში დავეთანხმები ვინმეს, რომ მთელი სახელისუფლო რესურსი იყო ჩართული საგარეჯოს არჩევნებში. ასე ნამდვილად არ ჩანდა.

ირმა ინაშვილი ნამდვილად არის ქარიზმატული ლიდერი, რასაც ვერ წაართმევ. პარტიის ლიდერია და მართლაც სერიოზული ბრძოლა იყო და გარეშე თვალისთვის ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო.

***— თანასწორი იყო ეს ბრძოლა?***

— ბრძოლა თანასწორი იყო და ეს ძალიან საინტერესო პოლიტიკური სანახაობა იყო. მე, მოქალაქე, ამით მხოლოდ ვიგებ, რადგან ვხედავ პოლიტიკურ ბრძოლას. მთავარია, ეს ბრძოლა კანონის ჩარჩოებში ჩაჯდეს.

***— არჩევნებიც მალე მოვა, თქვენ რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი იქნებით?***

— დღეს ნამდვილად არ ვიცი, ვის დავუჭერ მხარს 2016 წლის არჩევნებზე. ამ სიტუაციაში მოსახლეობის საკმაოდ დიდი პროცენტია. განა მათ არ იციან, რა უნდათ, უბრალოდ, ყურადღებით აკვირდებიან პროცესს. ამ პროცესს მეც დიდი ყურადღებით დავაკვირდები. დღეს პოლიტიკური ველი გახსნილია. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ ძალიან საინტერესო პოლიტიკური გადაჯგუფებები ვნახოთ. ამ პროცესში კი აუცილებლად გამოჩნდებიან ახალი სახეები. დღეს რომ არის იმის შესაძლებლობა, რომ ახალი სახეები გამოჩნდნენ პოლიტიკაში, ბოლო წლების განმავლობაში ასეთი შესაძლებლობა არასოდეს ყოფილა.

***— ანუ პოლიტიკაში ახალ სახეებს ელოდებით?***

— „ქართული ოცნება“ შეეცდება, მოძებნოს ახალი სახეები. ცხადია, ეს არ არის ადვილი პროცესი. ჩვენთან პოლიტიკა არის დისკრედიტირებული. პოლიტიკოსი ასოცირდება რაღაც ცუდთან, ადამიანთან, რომელიც პოლიტიკაში მიდის იმიტომ, რომ იქ იშოვოს ფული.

მიუხედავად ამ უნდობლობისა, დღეს არის იმის სიტუაცია, რომ რაღაც ახალი ჯგუფები, ახალი ადამიანები გამოჩნდნენ და იმ ადამიანთა დიდი პროცენტი, ვინც არ იცის, ვის მისცეს ხმა, სწორედ მათ ელის.

***— გუნდის გადახალისება „ოცნებასაც“ მოუწევს?***

— ეს პროცესი გარდაუვალია და გეტყვით იმასაც, რომ ეს საკმაოდ რთული იქნება. რადგან იქაც არიან ადამიანები, ვისაც არ უნდა თავისი გავლენის დათმობა.

***— ნაციონალებზე რას იტყვით? რამდენად ახერხებენ დღეს ისინი საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას? საუბარია, რომ ეს ძალიან კარგად გამოსდით.***

— კი, გამოსდით. მთელი 9 წლის განმავლობაში ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და კარგი ტრეინინგი გაიარეს. დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. ამ გამოცდილების ხარჯზე დღეს ისინი ახერხებენ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. მართალია ისინი გაირყვნენ და დაკარგეს რეალობის შეგრძნება, მაგრამ მათ მიიღეს გამოცდილებაც.

გეტყვით იმასაც, რომ „ოცნება“ როცა რეალურად მოვიდა ხელისუფლებაში, არ იყო მზად, რომ ხელისუფლება აეღოთ. დიდხანს ისე საუბრობდნენ, თითქოს ოპოზიციაში იყვნენ, ვერ გაითავისეს, რომ პასუხისმგებლობა მათზე იყო. თუმცა დღეს ყველაფერი შეიცვალა და ყველაფერი გაიაზრეს.

# დააყენებს თუ არა საკრებულო დავით ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხს

## ზაზა ვეკუა: „დედაქალაქის მერს მერიაში არაფერს ეკითხებიან“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ არ ითვალისწინებს ოპოზიციის რჩევებს თბილისის მერი, რას ურჩევს მას ოპოზიცია, დაწერს თუ არა ქალაქის თავი „საკუთარი სურვილით" წასვლის შესახებ განცხადებას, რას მოხმარდება მერიის გაზრდილი ბიუჯეტი? – ამის შესახებ „ახალ თაობას" თბილისის საკრებულოს ფრაქცია დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ზაზა ვეკუა ესაუბრება.**

**ზაზა ვეკუა:**

– მერიისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი თბილისელების კეთილდღეობას არ ითვალისწინებს. მერიის ადმინისტრაციის ხარჯები 15 მილიონიდან 16.5 მილიონამდე გაიზარდა და ეს იმ პირობებში, როცა მერიის ადმინისტრირება ნულის ტოლფასია. ბიუჯეტთან დაკავშირებით ის არც ოპოზიციის რეკომენდაციების გათვალისწინებას აპირებს.

***– მერი ამბობს, რომ მისთვის საინტერესო არ არის, რას ამბობს ოპოზიცია, რადგან ოპოზიციამ ბიუჯეტი რა არის, არ იცისო. ასევე არ გცოდნიათ, ბიუჯეტის მუხლებს შორის სად, რა, როგორ უნდა გადაიტანო და გადმოიტანო.***

– დავით ნარმანიას უყვარს ხოლმე ოპოზიციისთვის იმის შეხსენება, რომ ის არჩეული მერია. ეს მან მაშინ გაიხსენოს, როცა კანცელარიაში ან „ქართული ოცნების“ სათავო ოფისში მიბრძანდება, სადაც მას მითითებებსა და დავალებებს აძლევენ.

დავით ნარმანიას ყველა განცხადება არასერიოზულია. სხვანაირად ვერაფრით ვხსნი მის განცხადებებს, ის ყველაფრით კმაყოფილია, არადა, დედაქალაქში კატასტროფული ვითარებაა. თავისი მერობის პერიოდში თანამდებობიდან არავინ გაუთავისუფლებია. საქალაქო სამსახურების უფროსების ნაწილმა თანამდებობები დატოვა. მათზე გვეუბნებიან, რომ ისინი საკუთარი სურვილით წავიდნენ.

***– უკეთესი იქნებოდა, თუ მათ ნარმანია გაუშვებდა?***

– წესით, უნდა გაეშვა. საშინელი სიტუაციაა დღეს თბილისში, ყველა პროექტი ჩავარდნილია. დედაქალაქის ინფრასტრუქტურა მოშლილია და ქუჩაში გადაადგილება, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება. ამ ფონზე ნარმანიას განცხადება, რომ ოპოზიციამ არაფერი იცის და მხოლოდ მე ვიცი, რა სჭირდება თბილისსო, არის არასერიოზული. რაც იცის ნარმანიამ, კი დაატყო დედაქალაქს თავისი ცოდნა.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ნარმანიას კანცელარიასა და „ქართული ოცნების“ ოფისში აძლევენ მითითებებს. თუ ცოდნა არ აქვს, ისინი რატომ არ ეუბნებიან, რომ რაღაც გააკეთოს. მერიის უმოქმედობა ხომ მმართველი გუნდის რეიტინგზე ცუდად მოქმედებს?***

– ცუდად როგორ არ იმოქმედებს. დარწმუნებული ვარ, ეუბნებიან კიდეც, რამე გააკეთოს, ამიტომაც იბარებენ ხშირად. ეტყობა, ამ ადამიანს მეტის გაკეთება არ შეუძლია, ვერც ვერავის სთხოვს პასუხს და ხელს ოპოზიციისკენ იშვერს. ეს ერთ რამეზე მეტყველებს – დედაქალაქის მერი ძალიან სუსტია.

***– ვისი სურვილით წავიდნენ საქალაქო სამსახურის უფროსები, არ ვიცით, მაგრამ მათი წასვლა და ახალი ხალხის მოსვლა არ შეცვლის მერიაში არსებულ ვითარებას?***

– მერიაში არაფერი შეიცვლება. მერიის წარმომადგენლებს თვითკრიტიკის უნარი არ გააჩნიათ და ქალაქში არსებულ პრობლემებს ვერ ამჩნევენ. ცოტა ხნის წინ გადათხრილი ქუჩების გამო ნარმანიამ 2 კომპანიას მოსთხოვა პასუხი და, როგორც თავად ამბობს, ამის გამო დააჯარიმა კიდევაც.

ყველა კომპანია მიმართულია იქითკენ, რომ მოგება ნახოს. ზოგი მეტად კეთილსინდისიერია, ზოგი – ნაკლებად. კომპანიებზე საუბარს აზრი არ აქვს და მოსახლეობასაც არ აინტერესებს ეს ამბავი.

მოსახლეობასთან პასუხისმგებელია მერია, რომელსაც ხალხი მაღალ ხელფასს უხდის. ნარმანიამ ის გამოიკვლიოს, ვინ განახორციელა ეს ტენდერები, რა პირობები იყო ჩადებული, ვის ეხებოდა ზედამხედველობა, კეთდებოდა თუ არა ღამის საათებში. მართლა მაინტერესებს, რატომ მივიყვანეთ საქმე ზამთრამდე, როცა პროექტი ივლის-აგვისტოში უნდა დასრულებულიყო. სანამ კომპანიებს მიადგება, ჯერ საკუთარ თანამშრომლებს მოსთხოვოს პასუხი.

***– რატომ არ სთხოვს თანამშრომლებს პასუხს?***

– ეს მას უნდა ვკითხოთ. მას ჯერ საყვედური არავისთვის უთქვამს და არც არავინ გაუთავისუფლებია სამსახურიდან. გაჩერებული პროექტებისა და ერთ დიდ საცობად ქცეული თბილისის ფონზე მერიის თანამშრომლები პრემიას პრემიაზე იწერენ.

***– შემთხვევით ისე ხომ არ მოხდება, რომ ერთ დღეს დავით ნარმანია „საკუთარი სურვილით“ დაწერს თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებას, როგორც ეს საქალაქო სამსახური უფროსებმა გააკეთეს?***

– არა მგონია. ეს საკმაოდ რთული პროცედურა იქნება, თანაც მხოლოდ მისი წასვლით არ გამოსწორდება საქმე. დაპირებები მოსახლეობას მთლიანად „ქართულმა ოცნებამ“ მისცა. ყველამ უნდა იზრუნოს მათ შესრულებაზე. მერთან ბევრი პრეტენზია მაქვს, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ ნარმანიაა დამნაშავე. მას უჭირს ადმინისტრირება, მაგრამ არიან მერიის სხვა მაღალჩინოსნები, რომლებიც კეთილსინდისიერად არ მუშაობენ.

***– საკრებულოს უმრავლესობა ნარმანიას მოღვაწეობას როგორ აფასებს, ისევ კმაყოფილი არიან მისი მუშაობით?***

– შეუძლებელია, რომ მისი მუშაობით ვინმე კმაყოფილი იყოს. მისი მისამართით მათაც აქვთ კითხვები. განსაკუთრებით ბევრი კითხვა აქვთ მაჟორიტარებს. თბილისელები შეჩერებული პროექტებისა და შეუსრულებელი დაპირებების გამო მათ სთხოვენ პასუხს.

***– შესაძლებელია, ეს უკმაყოფილება ისე გაიზარდოს, რომ უმრავლესობამ არჩეული მერის იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს?***

– რას იზამს უმრავლესობა, არ ვიცი, მარჩიელობა კი არ მინდა, თანაც ასეთი გადაწყვეტილება საკრებულოში არ მიიღება.

***– აბა, სად მიიღება?***

– ზევით და ზევით.

# უკრაინის გენერალური პროკურორი შესაძლოა ქართველი გახდეს

## ვინ შეცვლის შოკინს, საყვარელიძე თუ ადეიშვილი?

შორენა მარსაგიშვილი





**უკრაინაში საქართველოდან წასულ ყოფილ მაღალჩინოსნებზე კვლავ დიდი მოთხოვნაა. ამჯერად ერთ-ერთმა მათგანმა შესაძლოა გენერალური პროკურორის პოსტი დაიკავოს.**

გენპროკურორის გარეშე უკრაინა გუშინ, 17 ნოემბერს დარჩა. პეტრო პოროშენკომ გენპროკურორი ვიქტორ შოკინი თანამდებობიდან გადააყენა. უკრაინული მედიის ცნობით, პრეზიდენტი შოკინის გადაყენების წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამერიკელების ზეწოლას ველარ გაუძლო და მისი გადაყენების ბრძანებას მოაწერა ხელი.

ადგილობრივი სააგენტოების ცნობით, სანამ ამ თანამდებობაზე შოკინი იქნებოდა, ამერიკა ქვეყნისთვის ახალი ფულადი ტრანშის გამოყოფას არ აპირებდა.

შოკინის თანამდებობიდან გადაყენებას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც უჭერდნენ მხარს. პეტიციას შოკინის გადაყენების თაობაზე ხელი რადას 100-ზე მეტმა წევრმა მოაწერა. არადა, თავის დროზე ის რადამ პროკურორის პოსტზე ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა.

მის გადაყენებას მხარს ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილიც უჭერდა. შოკინი ამ თანამდებობაზე მიმდინარე წლის 10 თებერვალს დაინიშნა.

მთავარი ბრალდება შოკინის წინააღმდეგ ის იყო, რომ, რეფორმატორების აზრით, კორუფციას სათანადოდ არ ებრძოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სინამდვილეში მიხეილ სააკაშვილი მას იმიტომ მტრობდა, რომ სურდა, ამ თანამდებობაზე თავისი გუნდის წევრი დაენიშნა.

უკრაინული მედიის ცნობით, ახალი გენპროკურორის თანამდებობისათვის კანდიდატთა შერჩევა უკვე მიმდინარეობს.

უკრაინელების გარდა, ამ თანამდებობაზე ქართველებიც სახელდებიან. არ არის გამორიცხული, ეს თანამდებობა იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს ჩააბარონ.

ასევე სახელდება დავით საყვარელიძის გვარიც, რომელიც ამჟამად უკრაინის გენპროკურორის მოადგილის პოსტს იკავებს.

ადგილობრივი მედია მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილს ამ თანამდებობაზე თავისი კადრის გაყვანა გაუჭირდება. შესაძლოა, პოროშენკო რაღაცნაირად დაითანხმოს, მაგრამ რადას მხარდაჭერის მოპოვება გაუჭირდება.

რადას დეპუტატების ნაწილი საქართველოს ექსპრეზიდენტის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. რადას ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ მას სასამართლოშიც კი უჩივლა.

მის მოწინააღმდეგეთა ბანაკშია უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ოდესის გუბერნატორი მის პოსტს უმიზნებს.

უკრაინული მედიის ცნობითვე, ახლო მომავალში ქვეყანაში სააკაშვილის წინააღმდეგ მორიგი კამპანიის აგორებას ელოდებიან.

# ბარაქ ობამა: „წამყვანი ქვეყნები ერთიან პოზიციაზე არიან, რომ „ისლამური სახელმწიფო“ უნდა განადგურდეს“



ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ – ეს არის ბოროტების სახე და წამყვანი ქვეყნები ერთიან პოზიციაზე არიან, რომ ეს ორგანიზაცია განადგურდეს. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ „დიდი ოცეულის“ სამიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამერიკის პირველმა პირმა ასევე აღნიშნა, რომ სირიის საკითხზე მოლაპარაკებების დროს გარკვეული პროგრესი მიღწეულია, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს უთანხმოება პრეზიდენტ ბაშარ ასადის მომავალ ბედთან დაკავშირებით.

ბარაქ ობამას განცხადებით, საერთაშორისო კოალიციამ „ისლამური სახელმწიფოს“ ობიექტებზე 8 ათასი დარტყმა განახორციელა.

– ამჟამად „ისლამური სახელმწიფო“ სირიის სულ უფრო ნაკლებ ტერიტორიას აკონტროლებს. დღევანდელი მონაცემებით, საერთაშორისო კოალიციამ 8 ათასი დარტყმა განახორციელა. ჩვენ ვაგრძელებთ ამ დაჯგუფების შევიწროებას. ერაყში უკვე გავათავისუფლეთ სინჯარის რეგიონი, – განაცხადა ობამამ.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ხორბლის პურზე ტექნიკური რეგლამენტი შემოდის

## მოიმატებს თუ არა ფასები პურზე?

ლალი დავითური

**პირველი იანვრიდან ძალაში შედის ხორბლის პურზე ტექნიკური რეგლამენტი. ამასთან, საუბარი დაიწყო პურის რკინითა და ფოლიუმის მჟავით გამდიდრების აუცილებლობაზე.**

რას ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტი, იმოქმედებს თუ არა ტექნიკური რეგლამენტის დაცვა და ფორტიფიცირება პურის ფასზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე ესაუბრა.

– ტექნიკური რეგლამენტი ხარისხს გააკონტროლებს. პური უნდა შეესაბამებოდეს იმ მონაცემებს, რაც ხარისხისა და შემადგენლობის აღმნიშვნელ დოკუმენტშია მითითებული. მაგალითად, პირველი ხარისხის პური უნდა გამოცხვეს პირველი ხარისხის ფქვილისაგან, მე-2 ხარისხი – მეორე ხარისხისგან და ა.შ.

ტექნიკურ რეგლამენტს ხორბლის პურზე რომ აკეთებენ, უნდა გაკეთდეს რეგლამენტი ჭვავის პურზეც. ეს რეგლამენტი ერთდროულად უნდა ამუშავდეს ყველა სახეობის პურზე, ამან რომ არ გამოიწვიოს გაუგებრობა, – განაცხადა მალხაზ დოლიძემ.

***– სხვა სახეობების პურს ტექნიკური რეგლამენტი არ შეეხება?***

– არა, ჯერჯერობით მხოლოდ ხორბლის პურსა და ხორბლის ფქვილზეა საუბარი.

***– აქამდე არ არსებობდა პურის ხარისხის დამცავი და მაკონტროლებელი ორგანო?***

– მას შემდეგ, რაც საქართველომ ასოცირებაზე მოაწერა ხელი, ვალდებულება აიღო, რომ რეგულაციები დაუახლოვოს ევროპულს, როგორც ეს რძის პროდუქტებზე უკვე განხორციელდა. რძეს დაერქვა რძე, მცენარეული ცხიმებისგან ნაწარმს კი – რძისმაგვარი.

***– პურის რეგლამენტის შემდეგ ხომ არ მივიღებთ პურს და პურისმაგვარ პურს?***

– არა, პურისმაგვარი არ იქნება, მაგრამ ყველა ხარისხს უნდა დაერქვას თავისი სახელი.





***– ბევრგან იყიდება მეტი საფუვრით გადაფუებული პური, ამის კონტროლიც თუ მოხდება?***

– უსაფუვრო პური არ არსებობს, ეს ტყუილია. ისევე, როგორც ამბობენ, რომ პურში შაქარი არის ნული. პურში ყველაზე მეტი არის ნახშირწყალი.

არის ინტენსიური ტექნოლოგიები, ანუ სწრაფი. საფუვრის ნორმას გაზრდიან, ცომს გააგიჟებენ, ჩქარა მოიყვანენ და მალე გამოაცხობენ. საერთოდ, ქალაქში შემოვიდა სწრაფი ტექნოლოგიები. ეს მარტო თბილისის პრობლემა არ არის, ეს დიდი ქალაქების პრობლემაა საერთოდ. თბილისს დღე-ღამეში სჭირდება 300-400 ტონა პური. აქ რომ კლასიკური ტექნოლოგიით დაიწყო გამოცხობა, ენერგომატარებლები ძალიან გაძვირდება და პური დაჯდება ძალიან ძვირი.

***– პური იყიდება ყველგან – მარკეტებში თუ გარე ბაზრობებზე, ამის გაკონტროლებასაც თუ ითვალისწინებს ახალი რეგლამენტი?***

– ამას რეგლამენტი ვერ გააკონტროლებს. საჭიროა ჩვენი შიდა კულტურის ამაღლება. ხელი რომ უნდა დავიბანოთ, ეს ვიღაცამ არ უნდა გვასწავლოს, ასევეა ეს საკითხიც. პური გარეთ, მტვერში რომ არ უნდა ვიყიდოთ, ამას რეგლამენტი რად უნდა?!

***– რეგლამენტის მიღება პურის გაძვირებას ხომ არ გამოიწვევს?***

– თუ რეგულაციები შეუშლის ხელს იმპორტს, შეუშლის ხელს საბაჟოზე ფქვილის შემოტანას, როგორც ეს მოხდა აგვისტოში, ივლისში, ივნისში, მაშინ ეს ხელს შეუწყობს ფასის ზრდას. მაშინდელი შეფერხებები იმით ახსნეს, ტექნიკური რეგლამენტის მომენტები გამოვიყენეთ, გვაინტერესებდა, ეს რას გამოიწვევსო. ხელოვნური შეფერხებები ფასების მატებას გამოიწვევს. ბაზარზე თუ არ არის შეჯიბრებითობა, მაშინვე ჩნდებიან მონოპოლისტები და იწყებენ ფასების მატებას. მაშინ 1 ტომარა ფქვილი 37 ლარიდან 44 ლარი გახდა.

***– ფქვილის იმპორტი როგორ იმოქმედებს ადგილობრივი წისქვილკომბინატების მუშაობაზე, ხელს ხომ არ შეუშლის მათ ფუნქციონირებას?***

– აქ არის ორი ძალიან დიდი პრობლემა – რენტაბელობა წისქვილების და რენტაბელობა პურის მცხობლების. აქ ორი ინტერესი ეჯახება ერთმანეთს. ჩვენთან წისქვილკომბინატების ფქვილი უფრო ძვირია.

***– რატომ, მაღალ ფასს ადებენ?***

– არა, თავისთავად ძვირი უჯდებათ. მარტო ბათუმიდან თბილისამდე ტრანსპორტირებისას 1 ტონა ხორბალს 30 დოლარი ემატება, ამას ემატება გადამუშავების ხარჯები და ა.შ. ჩვენ კი გვესმის წისქვილკომბინატების მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ თვითონაც გაგვეზარდა ხარჯები. პურის ცხობის ყველა კომპონენტმა მოიმატა, ელექტროენერგია გაძვირდა, საფუარი გაძვირდა, მარილი გაძვირდა.

10-12 თეთრამდე ჯდება შესაფუთი მასალა. როდესაც ვამბობთ, რომ პური უნდა იყოს შეფუთული, ეს გააძვირებს პურს.

ორივე დარგში არის პრობლემები. მცხობელებს უნდათ, იაფად შეიძინონ ფქვილი, ფქვილის მწარმოებლებს კი უნდათ, მაღალ ფასში გაყიდონ ფქვილი. ბოლოს ეს ყველაფერი ფოკუსირდება ფასზე.

***– და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?***

– ეს პრობლემები სახელმწიფომ ალბათ უფრო ღრმად უნდა შეისწავლოს და ხელი შეუწყოს ორივე დარგს.

რეგლამენტი ფასებთან არაფერ შუაში არ არის, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც მაქვს რეგლამენტთან, როგორც მეწარმეს.

***– რა შენიშვნა?***

– მაგალითად, თუ პური გამომცხვარია რაიმე დანამატებით, ამის აღმნიშვნელად იხმარება სიტყვა ფორტიფიცირება. მიმაჩნია, რომ ფორტიფიცირების მაგივრად უნდა ვიხმაროთ დანამატი.

***– ფორტიფიცირებაზე რას იტყვით, საუბარი მიდის პურის რკინითა და ფოლიუმის მჟავით გამდიდრებაზე, ანუ ფქვილის ფორტიფიცირებაზე?***

– ეს არის კიდევ ერთი პრობლემა. ფოლიუმის მჟავა თუ ფეხმძიმე ქალისთვისაა საჭირო, ჯანმრთელ ადამიანს სულ არ სჭირდება ეს მჟავა და შეიძლება ბევრ ადამიანში ამან სხვა პრობლემები, მაგალითად, კუჭის, ალერგიული და სხვა პრობლემები გამოიწვიოს. ამიტომ პურის რკინითა და ფოლიუმის მჟავით გამდიდრება არ შეიძლება მასობრივად მოხდეს. ეს ცალკეულმა დაწესებულებებმა უნდა ითავონ, ვისაც ევალება საბავშვო დაწესებულებების მომარაგება და ა.შ.

ფოლიუმის მჟავა ყველაფერში არის, რაც კი მწვანეა, იგი ადვილად აქროლადი მჟავაა, ამიტომ 230-250 გრადუსზე, რაზეც პური ცხვება, ფოლიუმის მჟავა საერთოდ არ დარჩება. ამიტომ ეს საკითხი უფრო მეტად შესასწავლია.

***– თქვენ თუ იყავით საქმის კურსში და მონაწილეობდით ამ საკითხის განხილვაში?***

– ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. ბორჯომში ბავშვთა ფონდმა ჩაატარა სემინარი და იქ მიიწვიეს ჟურნალისტები, ფქვილის მწარმოებლები და ჩვენ საერთოდ არ დაგვიძახეს. საერთოდ, საქართველოში პურის მიმართ რაღაცნაირი დამოკიდებულება გაჩნდა. დიაბეტს პურით მკურნალობენ, ანემიას პურით მკურნალობენ, ახლა ორსულ ქალებს უნდათ, პურით უმკურნალონ და ა.შ. ჯანმრთელობის სამინისტრომ ეს საკითხი კარგად უნდა შეისწავლოს.

***– პურის ფასის გაზრდას ხომ არ უნდა ველოდოთ?***

– პურზე ფასების ხშირი ცვალებადობა ძალიან ცუდად მოქმედებს ბაზარზე. პურის ფასის გაზრდის გარკვეული შიში მაქვს. თუ შეფერხდა იმპორტი, მაშინ ადგილობრივი ფქვილის ფასი უმალვე აიწევს, რაც გამოიწვევს პურის ფასის გაზრდას.

მაგალითად, წინა მთავრობის პირობებში 1 ტომარა ფქვილის ფასი გახდა 60 ლარი. მაშინ უამრავი წარმოება გაკოტრდა.

***– მაგრამ იყო პერიოდიც, როცა 1 ტომარა ფქვილი 35 ლარი ღირდა.***

– მერე თქვენ რა გგონიათ, წარმოებას გადაიარაღება არ უნდა, წარმოებას გადახურვა არ უნდა, შეღებვა არ უნდა, მოვლა-პატრონობა არ უნდა? ამას ყველაფერს ხომ ხარჯები სჭირდება. ამას არავინ ითვალისწინებს.

***– ყველა წარმოებას უნდა მოვლა და გადაიარაღება.***

– გადაიარაღება იმიტომ გვინდა, რომ ახალი ტექნოლოგიები დავნერგოთ, ხარისხი გავაუმჯობესოთ, ინგრედიენტები ვიყიდოთ, რომ უფრო ხარისხიანი პური გამოვაცხოთ. უნდა გამოვიდეთ სოციალისტური აზროვნებიდან – ჩვენ გვინდა იაფი და ხარისხიანი, ასე არ გამოვა.

***– იმპორტირებულ ფქვილსა და ადგილობრივი ფქვილის ფასს შორის თუ არის სხვაობა?***

– რუსული იმპორტირებული ფქვილი 40-41 ლარი ღირს, ქართული ფქვილი კი არის 44 ლარი. 4-5 ლარია განსხვავება, ეს მეწარმისთვის საკმაოდ დიდი თანხაა.

***– გამოდის, რომ მეპურეები ადგილობრივ ფქვილს აღარ შეიძენთ.***

– დაწიონ ფასი და, კი ბატონო, შევიძენთ, არ არის პრობლემა. კიდევ ვიმეორებ, რომ ამ ორივე სეგმენტს აქვს რენტაბელობის პრობლემა.

# ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს ცენტრალური გათბობის სისტემებს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს

ცენტრალური გათბობის სისტემებს ჰიპერმარკეტი „გორგია“ თავის მომხმარებელს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს.

როგორც ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ამბობენ, ისინი ყოველთვის ცდილობენ მომხმარებელს სხვადასხვა პროდუქციაზე ყველაზე დაბალი ფასი შესთავაზონ. ცივი ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით კი გადაწყვიტეს, გათბობის სისტემები მაქსიმალურად მოერგოთ მომხმარებლის მოთხოვნისათვის და ყველზე იაფად შეეთავაზებინათ.

– ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენს მომხმარებელს ყველაზე ხელმისაწვდომი ფასები შევთავაზოთ, რაც გამოიხატება ასეულობით პროდუქტზე ფასდაკლების აქციებით. მომხმარებელს შეუძლია ჩვენთან ყოველთვის ნახოს მისთვის საჭირო პროდუქცია ყველაზე დაბალ ფასად. ამ შემთხვევაშიც შევეცადეთ გათბობის სისტემების მონტაჟი მაქსიმალურად კომფორტული და მარტივი გაგვეხადა ჩვენი მომხმარებლისათვის. ჩვენთან ერთი მეტრ კვადრატის გათბობა 25 ლარიდანაა შესაძლებელი, ამ თანხაში შედის მონტაჟიც. მიტანის სერვისსა და პროექტირებას მომხმარებელი საჩუქრად მიიღებს გორგიასგან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაც უფრო დიდია გასათბობი სივრცე, მით უფრო დაბლა იწევს კვადრატული მეტრის ფასი, – აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში.“

ცენტრალური გათბობის სისტემების გარდა, ჰიპერმარკეტში მოსულ მომხმარებელს 50-მდე სახეობის გაზის გამათბობლის შეძენა მხოლოდ 389 ლარიდან შეუძლია. მრავალფეროვანი არჩევანი, ვაჭრობისთვის კომფორტული გარემო, უფასო კონსულტაციები და რჩევები მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ძალიან მარტივად და, რაც მთავარია, მოკლე დროში თბილი გარემო მოიწყოს, დაზოგოს კომუნალური გადასახადები და, რაც მთავარია, გადაიხადოს გაცილებით ნაკლები.




ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მომხმარებელს ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ნებისმიერი პროდუქტის შეძენა 0%-იანი განვადებით შეუძლია. განსაკუთრებული აქცია მოქმედებს გარემოსადმი მეგობრულ – ენერგოეფექტურ გამათბობლებზე, მისი 0%-იანი განვადებით შეძენის შემთხვევაში გადახდილი თანხის 10% მომხმარებელს უკან დაუბრუნდება.

აქცია, რომელიც ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტირებას, შეძენას, მიტანასა და მონტაჟს მოიცავს, ჰიპერმარკეტ „გორგიას“ სამივე ფილიალში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედებს.

# დავით ნარმანია: „თბილისის მერია მოსახლეობას ორ ახალ პროგრამას შესთავაზებს“



დედაქალაქის მერის განცხადებით, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მთავარი პრიორიტეტები კვლავ უცვლელია – ეს არის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობა, საბავშვო ბაღები, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქალაქის გამწვანება.

**დავით ნარმანია:**

– ჯანდაცვა და სოციალური პროგრამების დაფინანსება იზრდება ისევე, როგორც სხვა პრიორიტეტებისა.

თანამოქალაქეებს ორ ახალ პროგრამას შევთავაზებთ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით, რაც მათ მდგომარეობას უფრო მეტად გააუმჯობესებს და საჭიროებებს, რომლებიც მათ გააჩნიათ, ადეკვატურად უპასუხებს ეს პროგრამები.

ჩვენ წელს არ დაგვრჩენია არცერთი ადამიანი, რომელსაც არ დავეხმარეთ, იქნება ოპერაციების დაფინანსება თუ სხვა სოციალური შემწეობები. მათ შორის ჩვენ შეზღუდული შესაძლებლობების პირებზე ცალკე ახალი პროგრამები და ბევრი კარგი რამ გავაკეთეთ ჩვენი მოქალაქეებისათვის, დავინახეთ დამატებითი საჭიროებები და ამ საჭიროებებსაც ახალი პროგრამების მეშვეობით ვუპასუხებთ.

დედაქალაქის მერმა არ დააკონკრეტა, თუ რომელი ორი ახალი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების პროგრამა ამოქმედდება მომავალ წელს თბილისში.

ნარმანიამ საუბრისას აღნიშნა, რომ ბიუჯეტის საკომიტეტო მოსმენების დროს ჯანდაცვის საქალაქო სამსახური ამ პროგრამასთან დაკავშირებით გააკეთებს განცხადებას და საზოგადოებას მიაწვდიან ინფორმაციას.

– ჩვენ ამ ეტაპზე მოსალოდნელი თანხების შესახებ გვაქვს კონკრეტული წერილობითი შეტყობინება, დადასტურება ფინანსთა სამინისტროდან. შემოსავლების მეორე ნაწილი უშუალოდ ჩვენი მხრიდან ფორმირდება.

ეს არის მუნიციპალური ქონების მართვა-განკარგვიდან მიღებული შემოსავლები. აქედან გამომდინარე, შემოსავლებთან დაკავშირებით მეტი რაიმე დაზუსტება საჭირო არ იქნება. ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილთან დაკავშირებით გვექნება კონსულტაციები დამატებით საკრებულოს უმრავლესობასთან და შესაძლებელია, გარკვეული ცვლილებები ბიუჯეტის პროექტში შევიდეს, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

ინტერპრესნიუსი

## განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული თენგიზ კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 15 ნოემბერს გამთენიისას, თბილისში, კანდელაკისა და ტაშკენტის ქუჩების კვეთაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1995 წელს დაბადებულ თენგიზ ფ-ს ცივი იარაღით გულმკერდის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით).

**ინტერპრესნიუსი**

## უბედური შემთხვევა კასპში

### 25 წლის მამაკაცი დაიღუპა




კასპში მომხდარ უბედურ შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისას მიწა ჩაიშალა და ორი ადამიანი ჩავარდა. ერთ-ერთი მათგანის გადარჩენა შეძლეს, მეორე კი გარდაცვლილი ამოიყვანეს.

აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ერთ-ერთი კომპანია აწარმოებს. რაც შეეხება გარდაცვლილს, იგი, სავარაუდოდ, კასპის მცხოვრები არ არის და აღნიშნულ კომპანიას ჰყავდა დაქირავებული.

გარდაცვლილი 25 წლის ახალგაზრდაა. რაც შეეხება შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გოჩა გოჩიტაშვილი ამბობს, რომ მომხდარის თაობაზე ჩატარდება გამოძიება და შესაბამისად გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა, რა გახდა მიწის ჩამოშლის მიზეზი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი არც იმას გამორიცხავს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში ხანგრძლივი წვიმების შედეგად, შესაძლოა, მიწა იყო ნალექით, ტენით გაჯერებული, რამაც მიწის ჩამოშლა გამოიწვია.

უბედური შემთხვევის ზუსტი მიზეზის დასადგენად ექსპერტიზა ჩატარდება.

**ინტერპრესნიუსი**

## შსს-მ ოქტომბერში 1.565 დანაშაული გახსნა

### შსს ოქტომბრისა და იანვარ-ოქტომბრის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: საქართველოს მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება, 2015 წლის ოქტომბერი

2015 წლის ოქტომბერში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 3.486 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1.565 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 44.89%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული მატებაა +0.72% (25 ერთეულით).

# ლევან იზორია: „საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის“

**– საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის.**

**ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორიამ „მაესტროს ფაქტორში“ განაცხადა, სადაც ისლამური სახელმწიფოს სახელით საქართველოს მიმართ გაჟღერებულ მუქარებს გამოეხმაურა.**



– ჩვენ ყველა მუქარას, რომელიც იქნა საჯაროდ გაჟღერებული ტერორისტებისგან და ეს მუქარა უკავშირდება კონკრეტულად საქართველოს, სერიოზულად აღვიქვამთ. აქ მიდგომა არ არის კონკრეტულად დიფერენცირებული, შესაბამისად, ჩვენ მობილიზებას ვიჩენთ მაღალი ხარისხით და მაღალი პასუხისმგებლობით, რაც უკავშირდება რისკებისა და საფრთხეების თავიდან აცილებას, – განაცხადა ლევან იზორიამ.

მისი თქმით, საქართველო არ არის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყანა ტერორისტებისთვის.

– მათი ძირითადი სამიზნე არის ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საომარ მოქმედებებს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა ეს ჩვენ, უწყებას, რომელიც უშუალოდ არის სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, მოდუნების უფლებას არ გვაძლევს, – აღნიშნა იზორიამ.

მისივე თქმით, თამაზ ჭალალიძის მიერ გავრცელებულ მუქარის შემცველ ინფორმაციაზე გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 12 იანვარს დაიწყო, მურმან პაიჭაძის მიმართვაზე კი – რამდენიმე დღის წინ.

– ეს ყველაფერი გვაძლევს საფუძველს სერიოზული რეაგირებისთვის, თუმცა ეს არ არის საფუძველი პანიკისთვის, – აღნიშნა იზორიამ.

ამ საკითხზე გამოძიების გააქტიურების კონტექსტში მან მიმდინარე წლის ივნისში ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის ბრალდებით ბორჩაშვილის დაკავების ფაქტი გაიხსენა.

ლევან იზორიას თქმით, აღნიშნულ საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა 19 ნოემბერს გაიმართება.

ტერორიზმის წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარების კონტექსტში იზორიამ მოსმენების თაობაზე პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა და საკონსტიტუციო სარჩელი გაიხსენა.

– ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პირველი რიგის ამოცანაა, სპეცსამსახურებს ჰქონდეთ ოპერატიული შესაძლებლობა ინფორმაციის მიღებისთვის, რათა დროულად მოხდეს საფრთხეების პრევენცია, – აღნიშნა მან.

❖ ❖ ❖

„მაესტროს ფაქტორში“ გამოსვლისას ლევან იზორიამ ქართული და აზერბაიჯანული სპეცსამსახურების კოორდინირებულ მუშაობაზეც ისაუბრა.

– ქართული მხარის ინფორმაციის საფუძველზე, აზერბაიჯანმა საკუთარი მოქალაქე დააკავა, რომელიც უკანონოდ ცდილობდა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას, რათა შემდეგ წასულიყო სირიაში და ისლამური სახელმწიფოს რიგებში ებრძოლა, – განაცხადა მან.

შემთხვევა 15 ნოემბერს ქალაქ ბელქანში მოხდა.

– აზერბაიჯანულმა მხარემ მყისიერი რეაგირება მოახდინა, – აღნიშნა ლევან იზორიამ.

მისი თქმით, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი.

– მთელ რიგ ღონისძიებებზე თუ ვისაუბრებთ, რაც შეიძლება საჯაროდ გავრცელდეს, მინდა დამატებით ვთქვა, რომ ათეულობით ადამიანის შემოსვლა იქნა აღკვეთილი, მათ შორის, აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან, რომლებიც ტრანზიტულად ცდილობდნენ საქართველოდან თურქეთში და თურქეთიდან სირიაში გადასვლას, – განაცხადა ლევან იზორიამ.

ქართული მხარე ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს სიით (დაახლოებით 1.000-ზე მეტი ადამიანი), რომელსაც სტრატეგიული პარტნიორები გვაწვდიან.

– მათ შორის საუბარია არა მხოლოდ აქტიურ, არამედ პოტენციურ ტერორისტებზეც, – განაცხადა ლევან იზორიამ.

მისი თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის გამო შეიძლება რამდენიმე პირის სამართლებრივი დევნა დაიწყოს.

– ქართულ ენაზე ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდისტული არაერთი გვერდი არსებობს, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს, – განაცხადა მან.

ლევან იზორიას თქმით, ოპერატიული ინფორმაციის შეგროვების მიზნით ასეთი ვებგვერდების არსებობა გარკვეული დროის განმავლობაში მიზანშეწონილიც იყო, ახლა კი მათი აკრძალვის მოთხოვნით უახლოეს პერიოდში სასამართლოს მიმართავენ.

– გამოძიება დაწყებულია და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვატარებთ ოპერატიულ ღონისძიებებს, მათ შორის, აქტიური მომხმარებლების დადგენის თვალსაზრისით; ვადევნებთ თვალყურს, თუ ვინ არის მისი აქტიური მომხმარებელი, თუმცა ახლო მომავალში ჩვენ შუამდგომლობით წარვდგებით სასამართლოს წინაშე, რომ ასეთი ვებ-გვერდების არსებობა აიკრძალოს.

გამოძიება დაწყებული იყო და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ერთგვარად მიზანშეწონილი იყო მისი გარკვეული პერიოდით არსებობა, რათა ჩვენ მეტი საფუძველი და სიმტკიცე გვქონოდა გარკვეული ინფორმაციის დადგენის თვალსაზრისით. უკვე გვაქვს საფუძველი, რომ გარკვეულ პიროვნებებზეც დავიწყოთ დევნა, – განაცხადა ლევან იზორიამ.

მას არ დაუკონკრეტებია, იმართება თუ არა აღნიშნული პროპაგანდისტული ვებ-გვერდები საქართველოდან.

❖ ❖ ❖

ლევან იზორიამ ჰეზბოლას ერთ-ერთი საველე მეთაურის, საიად ალ ბაჰადის, საქართველოში ყოფნის შესახებ ინფორმაცია არ დაადასტურა.

– ასეთი პიროვნების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ჩვენ გვაქვს პოტენციურ და აქტიურ ტერორისტებზე ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან. ასეთი პიროვნების სახელი და გვარი არც მათ მიერ მოწოდებულ სიაში ფიგურირებს, არც გაყალბებული დოკუმენტაციით შემოსულა, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია ნამდვილად არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა ლევან იზორიამ.

ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტოსურათი, რომელზეც თითქოს ტერორისტული ორგანიზაცია ჰეზბოლას ერთ-ერთი საველე მეთაური საიად ალ ბაჰადი თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე მაკდონალდსთან არის გადაღებული.

## ბაჩო ახალაია პროკურორს — „სრული უფლება გაქვთ, იყოთ თავხედი საკუთარ ქმართან“

– სრული უფლება გაქვთ, იყოთ თავხედი ოჯახში, საკუთარ ქმართან, – ასე მიმართა სერგო თეთრაძის საქმის პროკურორ მაია ჯვარშეიშვილს ბრალდებულმა ბაჩო ახალაიამ.

საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე ხმაური გამოიწვია პროკურორის გამონათქვამმა, რომ დაცვის მხარეს შუამდგომლობაში არ ჰქონდა ჩამოყალიბებული და კითხვების რეჟიმში გაირკვა, რას ითხოვდა სასამართლოსგან.

– თქვენ სრული უფლება გაქვთ, იყოთ თავხედი, მაგრამ მე არ მსიამოვნებს ამის ყურება, – მიმართა ახალაიამ პროკურორს.

ბრალდებულის ადვოკატმა რომეო საჯაიამ კი მაია ჯვარშეიშვილს შეახსენა მისი მეუღლის პასუხისგებაში მიცემა.

– იქნება მოტივირებული, რა თქმა უნდა. მისი ქმარი ხომ დაჭერილი იყო კორუფციისთვის, – განაცხადა საჯაიამ.

პროკურორმა მაია ჯვარშეიშვილმა კი აღნიშნა, რომ ახალაიას შენიშვნას არ იღებს.



ამასთან, ბრალდების მხარე ახალაიას ადვოკატების არცერთ შუამდგომლობას არ დაეთანხმა, მოსამართლე კი, შუამდგომლობებზე გადაწყვეტილების მისაღებად, სათათბიროდ არის გასული.

**ინტერპრესნიუსი**



## საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერი

2015 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 29.500 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 17.211 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 58.34%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 3.89%.

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე წ. თბილისში, ლვოვის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ალექსანდრე წ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „ბრაუნინგის“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, „ჩეზე“-ს ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, „ვალტერის“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, 3 მჭიდი და 22 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

## შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2015 წლის ოქტომბერი

2015 წლის ოქტომბერში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2.237 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1.358 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 60.71%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა – 2.01%.

## შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2015 წ. იანვარ-ოქტომბერი

2015 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 20.918 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 14.136 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 67.58%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 5.29%.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# უკრაინაში ადგილობრივი არჩევნების მეორე ტური დასრულდა

უკრაინაში ადგილობრივი არჩევნები დასრულდა. ამომრჩეველთა აქტიურობა დაბალი იყო, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: პირველი ის, რომ ეუთომ არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ აღიარა. მეორეა ის, რომ აღმოსავლეთ რეგიონში პატრიოტული ძალების წარმატება აღინიშნა.

დნეპროპეტროვსკის მერად უკრაინელ პატრიოტთა კავშირის ლიდერი ფილატოვი იქნა არჩეული, დნეპროპეტროვსკის საოლქო საბჭოში კი უმრავლესობა ეროვნულ ძალებს ექნებათ. პატრიოტების სერიოზული ფრაქციები შეიქმნება ოდესის, ნიკოლაევის საოლქო საბჭოებში, ეროვნული ძალების გაერთიანების შემთხვევაში კი მათ უმრავლესობა გარანტირებული აქვთ.

ვიტალი კლიჩკომ კიევის მერის პოსტი შეინარჩუნა, ლვოვის მერი კი კვლავ სადოვიი იქნება.






# ნემცოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა

ბორის ნემცოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილ ბესლაბ მუხუტდინოვზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

მუხუტდინოვი რუსეთის შინაგანი ჯარის ბატალიონ „სევერის" მებრძოლია. ეს შენაერთი რუსეთის შინაგანი ჯარის ნაწილად მხოლოდ ფორმალურად იწოდება. ის რამზან კადიროვის დაქვემდებარებაშია და მისი მებრძოლებიც კადიროვის ხალხითაა დაკომპლექტებული.

თანახმად რუსეთის კონსტიტუციისა, ჩეჩნეთს, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტს, არა აქვს უფლება, საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები ჰყავდეს, თუმცა პუტინის სამფლობელოში კანონი ერთია, რეალური ცხოვრება კი, მეორე.

კადიროვსაც დე-ფაქტოდ საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები ჰყავს. მუხუტდინოვიც სწორედ ამ ფორმირების წევრი აღმოჩნდა. ის მიიმალა. ახლა მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

# სროლა სომალიში

სომალის დედაქალაქ მოგადიშოს ლტოლვილთა ბანაკში სისხლიანი შეტაკება მოხდა.

ერთმანეთს ორი მოქიშპე შეიარაღებული ფორმირება დაუპირისპირდა. სროლის შედეგად დაიღუპა 11 ადამიანი.

ინციდენტი ლტოლვილებისთვის საჭმლის დარიგებისას მოხდა.

ეს დაჯგუფებები ერთმანეთს ადრეც არაერთგზის დაპირისპირებიან. ისინი ბანაკის სურსათით მომარაგებაში ერთმანეთს ეცილებიან. ამას გარდა, ლტოლვილებს რიგი საქმეებისათვის (პროსტიტუცია, ნარკობიზნესი და ა.შ.) იყენებენ, თუმცა ასეთი სისხლიანი შეტაკება და ამხელა მსხვერპლი ჯერ არ ყოფილა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



საზოგადოება

# ლელა გულედანი: „დევნილების მდგომარეობა გაუარესდა"

**„დევნილთა პარტია" დევნილთა შესახებ კანონში, ასევე დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების ინიციატივით გამოდის.**

**ცვლილებებთან დაკავშირებით ოფიციალური მოთხოვნა სამუშაო შეხვედრების მოსაწყობად უკვე გაუგზავნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებს.**

**რატომ ითხოვს პოლიტიკური გაერთიანება „დევნილთა პარტია" ცვლილებებს კანონმდებლობაში და რა მინუსებს ხედავს ის მოქმედ კანონში — ამ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი" მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „დევნილთა პარტიის" თავმჯდომარე ლელა გულედანს ესაუბრა.**



***— ქალბატონო ლელა, რას გულისხმობს თქვენი ინიციატივა დევნილთა შესახებ კანონში, ასევე დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიასა და სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე?***

— მოქმედი მთავრობის პირობებში 2014 წლის პირველ მარტს მოხდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ კანონის" ცვლილება. ეს კანონი არის განზოგადებული და არაფრისმომცემი.

ახალი კანონის მიხედვით, არ რეგულირდება დევნილების დროებით საცხოვრებელ ადგილზე მისი ინტეგრაციის საკითხი. დევნილები ინტეგრაციას სწორედ ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა შეუწყოს ხელი. წინა კანონში გაწერილი იყო მექანიზმები, თუ როგორ ეხმარებოდა თვითმმართველობა დევნილებს ინტეგრაციაში, რაც დღეს აღარ არის.

კანონთან დაკავშირებით კიდევ ერთი ინიციატივაა, რომ აღდგეს კერძო განსახლების ობიექტების ცნება. როდესაც კომპაქტური ჩასახლების ობიექტები ჯერ კერძო საკუთრებაში არ არის გადაცემული, დაცვის გარანტიები ნაკლებია. კერძო მესაკუთრე თავისუფლად ედავება დევნილებს რადგან არ არის კომპაქტურად ჩასახლებული. ეს ცუდი შედეგის მომტანია მით უმეტეს მაშინ, როდესაც როგორ მოხდა შესყიდვა კერძო მესაკუთრის მიერ ამა თუ იმ ობიექტის ბუნდოვანია.

ჩვენი ინიციატივაა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ" კანონში შევიდეს ცვლილებები ორი მიმართულებით.

ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის ხარისხის ამაღლება დევნილების ადგილზე ინტეგრაციის მიმართულებით და ასევე კომპაქტური და კერძო განსახლების ობიექტის ცნების აღდგენა. აღნიშნული ინიციატივები დაიცავს უკანონო გასახლებებისაგან დევნილებს.

რაც შეეხება დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას, აქ ჩვენ ვითხოვთ ჩანაწერის ამოღებას, სადაც საუბარია კომპაქტური ჩასახლების ობიექტების გამოთავისუფლებასა და დახურვის პროცესზე.

სტრატეგია არის შესაცვლელი, რადგანაც მთლიანად აგებულია კოლექტიური ცენტრების დახურვასა და გამოთავისუფლებაზე. გამოთავისუფლების მიზეზია, რომ ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, გარკვეული ობიექტია, ვთქვათ, ყოფილი სკოლის შენობა და სახელმწიფოს უნდა მათი გაყიდვა.

თუ დევნილების საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს დევნილთა სამინისტრო, მაშინ ობიექტების გამოთავისუფლება უნდა შეიცვალოს სხვა რამით. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც არის კერძო ბიზნესმენის ინტერესი შენობის მიმართ და ეს არის სახელმწიფო საკუთრება.

ამ შემთხვევაში დევნილების შენობიდან გამოსახლება ხდება სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომ ეს შენობა არ ვარგა და კეთდება ყალბი საექსპერტო დასკვნები.

გარდა ამისა, შეუსაბამობაა კანონსა და სტრატეგიას შორის. სტრატეგიაში სახელწოდება — კოლექტიური ცენტრები — ფიგურირებს და კანონში — მართლზომიერი მფლობელები გვყავს ანუ განსხვავებულია ტერმინები.

***— ქალბატონო ლელა, თქვენი ერთ-ერთი მოთხოვნაა, სტრატეგიაში, ცვლილებებთან ერთად, ცვლილება შევიდეს სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშიც. თქვენი მოთხოვნა, რომ ამოღებულ იქნეს დევნილთა განსახლების უვადოობა. რას ნიშნავს ეს?***

— სამოქმედო გეგმაში გაჩნდა ახალი ჩანაწერი 2015 წლის თებერვალში და წერია, რომ დევნილთა განსახლება უვადოა.

დევნილები ამ ჩანაწერის გამო შოკში ვარდებიან. ეს ნიშნავს, რომ ვადა არ აქვს დევნილების მიმართ სახელმწიფოს სტრატეგიას და განსახლების პროცესს.

ჩვენ ბატონ სოზარსაც ვკითხეთ და მან გვიპასუხა, რომ დევნილები ძალიან ბევრნი არიან, თან მრავლდებიან და მათ არ იციან თუ როდის დასრულდება პროცესი. ანუ ეს იქნება დაუსრულებელი პროცესი სახელმწიფოსთვის.

სახელმწიფოს ორი მიზანი აქვს — ღირსეული საცხოვრებელი პირობებით დევნილების უზრუნველყოფა და დევნილების დაბრუნება, თუმცა არც ერთი მიმართულებით არაფერი კეთდება. ჩვენ ვითხოვთ რომ ამოღებულ იქნეს უვადობა და დაწესდეს ვადები.

***— გასაგებია, რომ თქვენ ითხოვთ კანონისა და სტრატეგიის შეცვლას, თუმცა როგორ აფასებთ არსებულ კანონსა და სტრატეგიის განხორციელების პროცესს? ასევე საინტერესოა, თუ ვინ იყო ჩართული სტრატეგიის შემუშავებაში.***

— დევნილთა შესახებ კანონი ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს შეიქმნა და სააკაშვილის დროს შესწორებები შევიდა. შემდეგ 2014 წლის პირველ მარტს მიიღეს ახალი ვერსია.

რაც შეეხება სტრატეგიას, ის 2007 წელს შეიქმნა. სააკაშვილი ამ სტრატეგიით გამუდმებით თავს იწონებდა. 2009 წელს დაიწყო ამ სტრატეგიის განხორციელება და, თუ შევხედავთ ტემპებს, საკმაოდ ნელა მიმდინარეობს სტრატეგიის განხორციელება.

6 წლის განმავლობაში 30 ათასი ოჯახია დაკმაყოფილებული. დარჩენილია კიდევ 90 ათასი ოჯახი. ამ სტრატეგიის შესრულების ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, კიდევ 12 წელი იქნება საჭირო იმისათვის, რომ ყველა დევნილის დაკმაყოფილება მოხდეს.

სტრატეგიაზე შექმნილი იყო კომისია, ჩართული იყვნენ მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები. მე ვფიქრობ, რომ სტრატეგიის შექმნა მოხდა მაინც ზედა ვერტიკალიდან და არა დევნილების საჭიროებებიდან გამომდინარე.

თუ შეჯამებას გავაკეთებთ, კანონსა და სამოქმედო სტრატეგიაში პრობლემებია, გაუარესდა დევნილების პრობლემების მოგვარების გზები და დაუყოვნებლივ მოქმედებაა საჭირო.

**ინტერპრესნიუსი**


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც — რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის", თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი", კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

● გამაჯანსაღებელი, ანტიცელულიტისა და სარელაქსაციო მასაჟი. ტელ: 555-25-95-68.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

## ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# ახალგაზრდულის შანსი სკანდინავიელებმა წაიღეს

**საქართველო – შვედეთი 0:1**

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 მრაბტი (72)



**საქართველო:** ქურდაძე, გეგეჭკორი, დვალი, უბილავა, აბურჯანია, პაპუნაშვილი, ლობჟანიძე, კიტეიშვილი, ცნობილაძე, კაჭარავა (რ.ჭანტურია 62), ფანცულაია (ქოჩლაძე 46)

**შვედეთი**: ქაიტოფტი, ვაჰლქვისტი, ს.ჰედლუნდი, ი.ნილსონი, ლუდნქვისტი, ტიბლინგი, ფრანსონი (ზენელი 66), ოლსონი (სევანკამბო 90), მრაბტი, ტანკოვიჩი (გ.ნილსონი 84), ენგვალი

მატჩის წინ ალექსანდრე ჩივაძე ამბობდა, შვედებთან მოგებით ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს შევინარჩუნებთო, მაგრამ ამ ოცნების ასრულება სკანდინავიელებმა არ დაანებეს. ჩვენები 0:1 დამარცხდნენ შვედებთან და ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ბოლო შანსიც დაკარგეს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებს ჰქონდათ, ქართველებსაც შეეძლოთ რამდენჯერმე გოლის გატანა, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. წასაგები მატჩი არ იყო, თუმცა სათამაშო დისციპლინამ გადაწყვიტა თამაშის ბედი.

ანგარიშის გახსნა სტუმრებს 22-ე წუთზე შეეძლოთ, მაგრამ ბურთი ჩვენი კარის ძელს მოხვდა და გადავრჩით.

ორიოდ წუთში შვედების კარში გოლი გავიდა, თუმცა მსაჯმა ნიკა კაჭარავაზე თამაშგარე დააფიქსირა. გატანა 33-ე წუთზეც შეგვეძლო, მაგრამ საბა ლობჟანიძემ კარგი შანსი ვერ გამოიყენა. გატანა გიორგი პაპუნაშვილმაც ცადა, მაგრამ მხოლოდ კუთხურს გამორჩა, რომელსაც კაჭარავას თავური მოჰყვა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა შვედების კარს.

შესვენების შემდეგ შვედების მიერ მოწოდებული კუთხური იყო სახიფათო, როდესაც ლუდნქვისტს ახლოდან კარში დარტყმის საშუალება მივეცით – გადავრჩით.

მე-60 წუთზე კი გოლს უკვე სტუმრები გადაურჩნენ – ჯერ ლევან გეგეჭკორის პასის შემდეგ კაჭარავამ ბურთს ფეხი ვერ შეაგება, ერთ წუთში კი უკვე ლაშა ქოჩლაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი ასცდა კარს.

თითქოს უპირატესობა ჩვენი იყო, უფრო მეტს ვუტევდით, მაგრამ მაინც შვედებმა გაიტანეს – 72-ე წუთზე კერიმ მრაბტიმ ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა ბექა ქურდაძისგან შორეულ კუთხეში და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა და სკანდინავიელებმა მშვიდად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 4 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 |
| 2.ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:3 | 10 |
| 3.შვედეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| 4.საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 8:12 | 6 |
| 5.ესტონეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:15 | 4 |
| 6.სან მარინო | 6 | 0 | 1 | 5 | 1:15 | 1 |

# კახა ცხადაძემ ალბანეთთან ვერმოგება მსაჯებს დააბრალა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კახა ცხადაძეს ესტონეთთან მატჩის შემდეგ იმდენად სურდა რეაბილიტაცია გულშემატკივართა თვალში, რომ მხოლოდ სასტარტო შემადგენლობას ენდო და ამხანაგურ მატჩში პირველი შეცვლა 77-ე წუთზე გააკეთა. არც შემდეგ მოუკლავს ცვლილებებით თავი ცხადაძეს, მაგრამ მოგება მაინც არ მოხერხდა.

ნაკრების თავკაცმა მატჩის შემდეგ ამაში მსაჯები დაადანაშაულა, მაგრამ საერთოდ არ გახსენებია ის მომენტი, როდესაც ალბანელებს მსაჯებმა ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალეს პირველ ტაიმში, როდესაც ჩვენები 1:0 იგებდნენ.

დასაწყისი კარგი იყო: მე-2 წუთზე ჯარიმა დაინიშნა, გიორგი ჭანტურიამ იქვე გაათამაშა ბურთი გიორგი ნავალოვსკისთან, მერე ჩააწოდა და ალეკო ამისულაშვილმა მარჯვენა ფეხით გადაგზავნა კარში. მალევე ვაკო ყაზაიშვილის სოლოს შორეულ კუთხეში დარტყმა მოჰყვა, მაგრამ მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

ამის შემდეგ ჩვენების თამაში ფეხბურთს არ ჰგავდა: ბურთის უაზრო ამოტანები, მოედნის ცენტრი დავკარგეთ, 2-3 პასის შემდეგ ბურთი უკვე მეტოქის იყო. არანაირი კომბინაცია, არანაირი კრეატივი, ფანტაზია. ქართველები მხოლოდ ინდივიდუალურად ცდილობდნენ თამაშს და არც ეს გამოსდიოდათ.

ერთია, უკეთ იცავდნენ თავს, ვიდრე უტევდნენ, მაგრამ ჩვენი დაცვაც ჩავარდა ტაიმის ბოლოს. ჯერ ლენიანის გამჭოლ პასზე ორ ფეხბურთელს შეეძლო ბურთის კარში გატანა, მაგრამ ვერ მიუსწრეს. მე-40 წუთზე ზემოთ ხსენებული გოლიც გაგვიტანეს. ეს გაშამ მოახერხა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა, არადა, გამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ პასის მომენტში უჩა ლობჟანიძე ჩარჩენილი იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მეორეც გავიტანეთ: ჯაბა კანკავას პასი გიორგი ჭანტურიამ საჯარიმოს წინ მიიღო და 3 მცველში მოქცეულმა მოახერხა, ზუსტად დაერტყა კარში.

ამის შემდეგ თამაშის ხალისი ალბანელებსაც დაეკარგათ, მაგრამ ბოლო 5 წუთში შტურმივით მოგვიწყვეს.




ეს უფრო ქართველთა „დამსახურება" იყო, რადგან სრულად ჩაიკეტნენ საკუთარ საჯარიმოში და...

88-ე წუთზე ალექსანდრე ამისულაშვილმა საჯარიმოში საჰაერო ბრძოლა კი მოიგო, მაგრამ ბურთი პირდაპირ ფეხზე დაასვა მიგიენ ბაშას და მანაც დაბალი და ზუსტი დარტყმით შეამცირა სხვაობა.

მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე კი სოკოლ ციკალეშიმ საჯარიმოს გარეთ მკერდით მიიღო ბურთი და მიწაზე დაუშვებლად გაგზავნა კარში – 2:2. სად იყვნენ ამ დროს ჩვენი მცველ-ნახევარმცველები, რთული სათქმელია – ციკალეშისთვის ხელის შეშლაც კი არავის უცდია.

**კახა ცხადაძე:**

– ალბანეთთან ორი გოლი გავიტანეთ, გარდა ამისა, ორი რეალური მომენტი გვქონდა. ერთ მომენტში ჭანტურიამ ბურთი ძელს მოარტყა. ცუდია, რომ ბოლოს ორი გოლი გავუშვით, მაგრამ ამაში თავისი წვლილი მსაჯებმაც შეიტანეს. არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ასე ჩანდა. დასანანი გოლები გავუშვით და ამ მომენტებში დაშვებული შეცდომები უნდა გავაანალიზოთ.

ამხანაგურ მატჩებში დაშვებულ შეცდომებსა და პოზიტიურ მომენტებს მაქსიმალურად სწორ ანალიზს გავუკეთებთ და ვეცდებით, შესარჩევ ციკლს მომზადებულები შევხვდეთ.

# მოკრძალებული ფაჩულია და გადარეული შერმადინი

## საკალათბურთო დესანტის ამბები




ზაზა ფაჩულიას დალასმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ტეხასელები ფილადელფიას ესტუმრნენ და ადგილობრივი სიქსერსი 92:86 დაამარცხეს. ფილადელფიელები ლიგის აუტსაიდერები არიან და მიმდინარე სეზონში გამართული 11-ივე შეხვედრა წააგეს.

ქართველი ცენტრი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა ამჯერად შედარებით მოკრძალებულად იმოქმედა. ქართველმა ცენტრმა ერთადერთხელ შეუტია თამაშიდან და ისიც არაზუსტად, ხოლო 4 საჯარიმოდან 2 ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით დაასრულა, რასაც 6 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიაყოლა.

დალასელთაგან საუკეთესოები დირკ ნოვიცკი და ჩენდლერ პერსონსი იყვნენ. პირველმა 31 წუთში 21 ქულა მიითვალა, პერსონსმა კი თამაშიდან 11-დან 8 ბურთი ჩააგდო და შეხვედრა 20 ქულით დაასრულა.

ფილადელფიელთაგან საუკეთესო იყო ცენტრი ჯაჰილ ოკაფორი 19 ქულითა და 11 მოხსნით.

დალასელებს 4 წაგება და 7 მოგება აქვთ და დასავლეთ კონფერენციაში მე-3 ადგილზე არიან.

მორიგი მატჩი ტეხასელებს მასაჩუსეტსის შტატში 19 ნოემბერს, ბოსტონ სელტიქსთან ელით.

გიორგი შერმადინმა ესპანეთის უმაღლეს ლიგაში გამორჩეული მატჩი ჩაატარა. ქართველმა ცენტრმა ეს თავის ყოფილ გუნდ სარაგოსასთან მოახერხა. გიორგის ამჟამინდელი გუნდი ანდორა სარაგოსელებს შეხვდა და 80:73 იმარჯვა.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 23 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნასა და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 10-დან 7 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინი საერთო სარგებლიანობით მოედანზე მყოფთაგან მხოლოდ თანაგუნდელ ლუკა ბოგდანოვიჩს ჩამორჩა, რომელმაც 35 წუთში 19 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა.

შერმადინის გუნდს 2 მოგება და 4 მარცხი აქვს და ესპანურ ლიგაში მე-12 ადგილზე იმყოფება.

მორიგი მატჩი ანდორელებს 22 ნოემბერს შინ უნიკახასთან ელით.

# ირლანდიამ ევროპა გაინაღდა

**ირლანდია – ბოსნია 2:0**

1:0, 2:0 უოლტერსი (24პ, 70)

**ირლანდია:** რენდოლფი, კლარკი, კოგჰი, ბრედი, კოულმენი, მაკკარტი, ველანი (ოში 90), ჰენდრიკი, ჰულაჰანი (მაკკლინი 55), მერფი (ლონგი 55), უოლტერსი

**ბოსნია**: ბეგოვიჩი, ზუკანოვიჩი, სპაჰიჩი, ვრანჟესი, კოლაშინაცი, კოჩალიჩი (ბეშიჩი 46), მედუნჯანინი (დურიჩი 69), ვისჩა, ლულიჩი (იბიშევიჩი 80), პიანიჩი, ჯეკო

საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელი ევრო-2016-ის შესარჩევ ეტაპზე, ირლანდიის ნაკრები 22-ე გუნდი გახდა, რომელმაც საფრანგეთში გასამგზავრებელი საგზური მოიპოვა.

იშვიათად ხდება, როდესაც დიდ საფეხბურთო ფორუმზე ინგლისთან ერთად რამდენიმე ბრიტანული ნაკრები გადის, ახლა კი მათ უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებებთან ერთად ირლანდიელებიც შეუერთდნენ.

„მწვანე არმიამ" პირველი მატჩი ბოსნიაში 1:1 დაასრულა და ამით საპასუხო მატჩის წინ გარკვეული უპირატესობა მიიღო.

23-ე წუთზე მსაჯმა ბოსნიელთა საჯარიმოში ხელით თამაში დააფიქსირა და პენალტი დანიშნა, რომელიც უოლტერსმა აქცია გოლად. მანვე 70-ე წუთზე მცველის შეცდომით ისარგებლა და ბეგოვიჩს ახლო მანძილიდან გაუტანა.

დარჩა 2 ნაკრების ვინაობა, რომელიც საფრანგეთის საგზურს მიიღებს.

# ალექსანდრე ჩივაძე პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მორიგი მარცხის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გორში შვედეთთან წააგო.

ვრცელდება ხმები, რომ ჩივაძე თანამდებობის დატოვებას აპირებს.

17 ნოემბერს, გორში გამართულ შეხვედრაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შვედეთთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდა და ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი დაკარგა.

ჩივაძის გუნდმა 6 მატჩში მხოლოდ 2 მოიგო, 4 კი წააგო და ამჟამად მეოთხე ადგილზეა.

ალექსანდრე ჩივაძე 21-წლამდელთა ნაკრებს 2012 წლიდან უდგას სათავეში.

**ინტერპრესნიუსი**



## შედეგები

**ფეხბურთი**

**16 ნოემბერი**

**ეჩ-2016. პლეი ოფი**

ირლანდია – ბოსნია .................... 2:0

**ამხანაგური მატჩი**

ალბანეთი-საქართველო ............... 2:2

**ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი (21)**

მოლდოვა-ჩეხეთი ......................... 1:3

ალბანეთი-ლიხტენშტეინი ............ 2:0

უნგრეთი-საბერძნეთი ................... 2:1

ინგლისი-შვეიცარია ..................... 3:1

საქართველო-შვედეთი ................. 0:1

**ამხანაგური მატჩი (21)**

პოლონეთი-უკრაინა .................... 0:1

**კალათბურთი**

**17 ნოემბერი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ფილადელფია-დალასი ............ 86:92

ზაზა ფაჩულია: 2 ქულა, 6 მოხსნა

ჩიკაგო-ინდიანა ......................... 96:95

ჰიუსტონი-ბოსტონი ........... 95:111

მემფისი-ოკლაჰომა ............. 122:114

სან ანტონიო-პორტლენდი ...... 93:80

ფინიქსი-ლეიკერსი ............. 120:101

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი





# როგორ ამოვიცნოთ ყივანახველა

ყივანახველა მწვავე ინფექციური დაავადებაა. ინფექციის წყაროა ავადმყოფი, რომელიც იმყოფება დაავადების ადრეულ ფაზაში. ყივანახველა გადაეცემა ჰაერ–წვეთოვანი გზით.

ყივანახველით ხშირად ავადდებიან ბავშვები, განსაკუთრებით 2-4 წლის ასაკში. დაავადებულ და ჯანმრთელ ბავშვებს შორის ახლო კონტაქტი, შეჯგუფება, ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას.

აღინიშნება ყივანახველის როგორც ერთეული შემთხვევები, ასევე აფეთქებები. ყივანახველის განვითარების ალბათობა მატულობს წელიწადის ცივ და ნესტიან დროს.

ინფექციია ზედა სასუნთქ გზებში იჭრება, სადაც ვეგეტირდება ყივანახველას ჩხირი.

გამომწვევი პირველ რიგში მოქმედებს ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე და იწვევს მის ანთებას დაავადების ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაზე. მოგვიანებით, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ტოქსიკური ზემოქმედების, სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის, ორგანიზმის ალერგიული მდგომარეობის შედეგად ვითარდება კრუნჩხვითი ხველების შეტევები.

მძიმე ფორმების დროს ვითარდება ჰიპოქსია. ყივანახველის პათოგენეზში გარკვეულ როლს ასრულებს ალერგიული მექანიზმები.

## ყივანახველის სიმპტომები, მიმდინარეობა

ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ შეადგენს 5-7 დღეს. დაავადება იწყება საერთო სისუსტით, შეუძლოდ ყოფნით, ხმის ჩახლეჩით, სურდოთი და ხველებით.

კატარალური მოვლენები ვითარდება 4-5 დღის განმავლობაში; მშრალი ხველა ფილტვებში დიდი რაოდენობით მშრალი ხიხინებით ტემპერატურის უმნიშვნელო მომატებასთან ერთად შეიძლება აღინიშნებოდეს 8-10 დღის განმავლობაში და უფრო მეტ ხანსაც.

მოგვიანებით ვითარდება დაავადების კრუნჩხვითი სტადია. ხველის შეტევას თან სდევს სუნთქვის შეკავება, ვლინდება რამდენიმე კრუნჩხვითი ხველის ბიძგები. ამის შემდეგ დგება ხანმოკლე პაუზა და ღრმა ჩასუნთქვა, შემდგომ ვითარდება შემაწუხებელი, კრუნჩხვითი ხველის



შეტევა, ავადმყოფის სახე შეშუპებულია, ჰიპერემიულია, ზოგჯერ მოცისფრო ელფერით.

გაძლიერებულ ჩასუნთქვას თან სდევს ენის მნიშვნელოვნად წინ გამოწევა, რომლის ლაგამზეც, კბილით გამოწვეული ტრამვის შედეგად, ჩნდება პატარა ჭრილობა. კრუნჩხვისებურ ხველას, ზოგჯერ, მივყავართ სკლერის სისხლჩაქცევებამდე, ცხვირიდან სისხლდენებამდე.

ადრეულ ბავშვთა ასაკში, შესაძლებელია განვითარდეს ღებინება, უნებლიე შარდვა და დეფეკაცია.

კრუნჩხვითი ხველის შეტევის დროს, რამდენიმე ხველებითი ბიძგის შემდეგ, ვლინდება მსტვინავი, დაგრძელებული ხმა, რაც გამოწვეულია ჰაერის სწრაფი გატარებით ჯერ კიდევ დახურულ ხმოვან ნაპრალს შორის.

ხველის შეტევებს თან სდევს მთელი სასუნთქის მუსკულატურის დაძაბულობა. შეტევის ბოლოს გამოიყოფა მცირე რაოდენობით მინისებრი ლორწო.

შეტევების დამთავრების შემდეგ, ბავშვი თავს საკმაოდ დამაკმაყოფილებლად გრძნობს.

კრუნჩხვითი სტადიის პირველ 15-20 დღეს, კრუნჩხვითი ხველის შეტევები ხშირდება, ხდება განსაკუთრებით შემაწუხებელი, მძიმე და ხანგრძლივი. დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება იყოს 8-10 დან 30-მდე, ზოგჯერ 40-მდეც, შეტევა.

მოგვიანებით, ისინი იშვიათდება, მოკლდება, ისე შემაწუხებელი აღარ არიან, თუმცა აღინიშნება სქელი, წებოვანი ნახველის გამოყოფა.

ყივანახველას მიმდინარეობა შეიძლება გართულდეს პნევმონიის განვითარებით, რომელიც ჩვეულებრივ გახანგრძლივებულად მიმდინარეობს.

ავადმყოფისთვის სიცოცხლის საშიშროებას წარმოადგენს მძიმედ მიმდინარე ბრონქიოლიტი.

ყივანახველის ტიპური და მძიმე ფორმების პარალელურად, არც თუ იშვიათია მისი ატიპიური და წაშლილი ფორმები. წაშლილი ფორმების დროს, ხველის შეტევები მსუბუქად მიმდინარეობს, შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ რამდენიმე დღე.

ატიპიური ფორმები მიმდინარეობენ კრუნჩხვითი ხველის გარეშე.

დაავადების ამ ფორმების დროს ბავშვების განწყობილება მნიშვნელოვნად არ იცვლება.

ყივანახველის მკურნალობა ტარდება ბინაზე. ჰოსპიტალიზაცია საჭიროა დაავადების მძიმე ფორმების დროს, ასევე გართულებების დროს. რეკომენდებულია ავადმყოფის სუფთა ჰერზე ყოფნა. ადრეული ასაკის ბავშვებში მძიმე და საშუალო სიმძიმის ფორმების დროს ან გართულებებისას ინიშნება ანტიბიოტიკები.

ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს დაავადების სიმძიმე და ბავშვს აცრები დადგენილ კალენდარულ ვადებში ჩაუტაროს.

### ხველის დროს მიიღეთ:

- 0,5 ლ ცხელ რძეს შეურიეთ 1 კვერცხი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ამდენივე ნაღების კარაქი, კარგად აურიეთ და დალიეთ ძილის წინ;
- 10 თავი ხახვი და 1 თავი ნიორი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ რძეში და ადუღეთ მანამ, სანამ ხახვი და ნიორი არ გაიხსნება. დაუმატეთ ცოტა პიტნა და თაფლი. გაფილტრეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ყოველ საათში ერთხელ დღის განმავლობაში.
- სტაფილოს ან თალგამის წვენი შეურიეთ რძეს 1:1 თანაფარდობით. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში 6-ჯერ.
- აურიეთ ერთმანეთში 2 სუფრის კოვზი ახალი რძე, 2 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი და 2 ჩაის კოვზი თაფლი. დალიეთ 1 ჩაის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.
- **ანგინის დროს** რეკომენდებულია თბილი რძისა და მინერალური წყლის (გაზგასული) ნარევის დალევა.
- **ყივანახველის დროს**– 5 კბილი ნიორი დაჭერით წვრილად ან დანაყეთ და აადუღეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში, დალიეთ დღეში რამდენჯერმე;
- **ბრონქიტი** – 1 ჩ.ჭ. რძე ჩაასხით მომინანქრებულ ჭურჭელში, ჩაყარეთ 1 ს.კ. სალბი, დაახურეთ თავი, დადგით ნელ ცეცხლზე, წამოადუღეთ, გააცივეთ და გაფილტრეთ. ისევ აადუღეთ და დალიეთ ცხლად.
- 2 ჩ.ჭ. ადუღებულ რძეში გახსენით 1 დესერტის კოვზი ღორის გამდნარი ქონი. მიღებული ნაყენი სვით ცხელი, პატარ-პატარა ყლუპებით.



# კანის დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

## ფურუნკული (ძირმაგარა)



**ძირმაგარას იწვევს სტაფილოკოკი, რომელიც იჭრება თმის ფოლიკულში, პროვოცირებას უკეთებს მის ნეკროზს და იწვევს გარშემო მდებარე ქსოვილის ანთებას. ამრიგად, წარმოიშობა მეტად მტკივნეული კვანძი. მისი ძირი მკვრივია, ამიტომ უწოდებენ ძირმაგარას. მას აქვს ბუდე. ძირმაგარა მოშორდება მაშინ, როცა ჩირქის ბუდე ამოვარდება.**

- მრავალძარღვას ახალ ფოთლებს აქვს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება, ამიტომ წარმატებით გამოიყენება ფურუნკულების სამკურნალოდ. ფოთლების რამდენიმე ფენას იდებენ დაჩირქებულ ადგილზე და ბინტით იხვევენ. ახალი ფოთლებით ცვლიან ყოველ 2 საათში ერთხელ.
- იღებენ ჭვავის პურს, აყრიან მარილს და ღეჭავენ, რომელსაც იდებენ ფურუნკულზე და იხვევენ.
- ბარდას მარცვლებს ფქვავენ, ალოეს წვენით აკეთებენ მალამოს და იდებენ ფურუნკულზე.
- ძირმაგარაზე იდებენ თბილ დინდგელის ფირფიტას.
- თაფლისა და პურის ფქვილისგან ზელენ ცომს და იდებენ ძირმაგარაზე. უმჯობესია, თუ ზემოდან მრავალძარღვას ან კომბოსტოს ფოთოლს დააფენთ და ისე შეუხვევთ.
- საკუთარ ნერწყვში ხსნიან პურის ფქვილს, მოაყრიან შაქარს, დაიდებენ საფენით შაქრიანი მხრიდან.
- სვამენ ძახველის ნაყოფის ნაყენს, როგორც ჩაის. იწმინდება ორგანიზმი და ფურუნკულები ქრება.
- იღებენ 15 გრამ ჭინჭრის ფოთოლს და ასხამენ 200 გრამ მდუღარეს. აჩერებენ 2 საათი. იღებენ თითო სუფრის კოვზს 3 ჯერ დღეში.

# რა დანიშნულება აქვს კალიუმს

კალიუმი დიდ როლს ასრულებს უჯრედშიდა ცვლის პროცესში. იგი ხელს უწყობს ორგანიზმში ბუფერული სისტემის წარმოქმნას.

კალიუმისა და ნატრიუმის ცვლაში ერთგვარი ფიზიოლოგიური ანტაგონიზმი აღინიშნება. ორგანიზმში ნატრიუმის რაოდენობის ზრდა იწვევს კალიუმის კონცენტრაციის დაქვეითებას და მის გამოდევნას ორგანიზმიდან. ამ მიკროელემენტების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა უცვლელად შეინარჩუნონ სისხლში და ქსოვილებში მარილების რაოდენობა და კოსმოსური წნევა, რომელზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სისხლისა და ქსოვილებში საჭირო სითხის რაოდენობის შენარჩუნება. რაც უფრო მაღალია ქსოვილში მარილის კონცენტრაცია, მით უფრო მეტი წყლის რაოდენობაა საჭირო კოსმოსური წნევის მუდმივ დონეზე შესანარჩუნებლად.

ორგანიზმში კალიუმის გაზრდილი რაოდენობით შეყვანას თან სდევს წყლის გამოდევნა.

კალიუმის დიდი რაოდენობით შემცველი დიეტა ეფექტური საშუალებაა დიურეზის გაძლიერებისათვის. კალიუმის ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის სისუსტეს, აპათიას, ჩონჩხის კუნთების სპაზმებს, გულის მუშაობის დარღვევას, ტახიკარდიას, პარეზებს და სხვა.

კალიუმის ძირითადი წყაროა მცენარეული პროდუქტები. განსაკუთრებით ბევრია იგი კარტოფილში.

500 გრამი კარტოფილი თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილებას კალიუმზე, რაც 2-3 გრამს შეადგენს.

# ასტროპროგნოზი

## 18 ნოემბრისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი, შრომისუნარიანობა და ოპტიმიზმი მაღალ დონეზეა. დღეს დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **კურო** – მაქსიმალურად ეცადეთ, ხელმძღვანელ პირებთან კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. დღის მეორე ნახევარში საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **ტყუპები** – შინაგანი ენერგია მკვეთრად გემატებათ. კარგი პერიოდია ცოდნის არეალის გასაფართოებლად. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. **კირჩხიბი** – თუ ახალ თანამდებობას შემოგთავაზებენ, არ დათანხმდეთ. ზედმეტი მიამიტობა და მიმნდობი ბუნება ზიანს მოგიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. **ლომი** – იყავით ოპტიმისტი, დაკავდით სპორტით. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **ქალწული** – პლანეტები გწყალობენ. ენერგიულად ხართ. ფიზიკური დატვირთვა ძალებს კიდევ უფრო შეგმატებთ. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **ღრიანკალი** – დღეს სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე თქვენგან სითამამეს მოითხოვს. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მიუდექით. **თხის რქა** – სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებთან ურთიერთობისას. კარგი პერიოდია შემოქმედებითი სფეროს გასაფართოებლად ან შესაცვლელად. **მერწყული** – მიზანს იოლად მიაღწევთ. კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები გმფარველობენ. **თევზები** – ჰარმონიული დღეა. კარგი იქნება, თუ ბუნებაში გახვალთ. თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე ეს დადებითად იმოქმედებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 3. ქართული ზღაპარი; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ეთიოპიელი მარათონელი მამაკაცი; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი; 17. არისტოკრატიის წარმომადგენელი რომის იმპერიაში; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. მამათა მონასტერი; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი.

**თარაზულად**: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი დიდი ბუ; 8. სქელი ქაღალდი; 9. მიწის თხილი; 10. გეომეტრიული ფიგურა, ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ხალხური ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 21. დაღესტნელთა ქართული სახელწოდება; 23. ქველმოქმედი, მოწყალე, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჟურფიქსი; 2. ბამბა; 3. კვარიათი; 4. ბატუტი; 7. ოტიტი; 9. მძივი; 12. „კრაკოვიაკი“; 14. მიზერი; 15. სკუტერი; 17. კოლომბო; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. „მუკუზანი“; 6. ბავარია; 8. კობალტი; 10. ვატიკანი; 11. ქსენძი; 13. ბაიკერი; 16. რიტორიკა; 18. ჰობოი; 19. დურდო; 21. „იბერია“; 22. არსენალი“; 23. „არაბიკა“.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შოტლანდია; 2. სადროშო; 3. მოხერი; 4. გაუდა; 5. „გრანმა“; 11. ტირადა; 12. ნევადა; 14. თექა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. ბოლტი.

**თარაზულად:** 6. კოლორადო; 7. სტატორი; 8. „დაფნე“; 9. „შალახო“; 10. რენტა; 13. სიათა; 15. თედიაშვილი; 18. კარდენი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. „მარსელიოზა“; 24. სეგუნი.

# ლეონიდ აგუტინი „შვიდკაცას“ სიმღერამ მოხიბლა



რუსული ესტრადის ცნობილი მომღერალი ლეონიდ აგუტინი ანსამბლ „შვიდკაცას“ მიერ შესრულებული სიმღერით მოიხიბლა.

მომღერალმა თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ქართული ანსამბლი ერთ-ერთ სუფრასთან ასრულებს სიმღერას „ტაპალია“.

ვიდეო ერთ-ერთმა მუსიკალურმა გვერდმა გააზიარა და უამრავი მოწონებაც დაიმსახურა. მისი ნახვის შემდეგ, ლეონიდ აგუტინმაც გადაიტანა საკუთარ კედელზე და მიაწერა:

– ქართველები რუსულ სიმღერას „ტაპალია“ ასრულებენ. ისე მღერიან, რომ შიგნით ყველაფერი აგიყირავდებათ...

„შვიდკაცას“ ნამღერ სიმღერას მუსიკალურ გვერდზეც და აგუტინის კედელზეც სულ დადებითი კომენტარები აქვს. როგორც ინტერნეტმომხმარებლები წერენ, ქართველების შესრულებამ მათ ცრემლი მოგვარა.

მომხმარებელთა ნაწილი „შვიდკაცას“ დისკის შეძენით არის დაინტერესებული. მხოლოდ ერთი მომხმარებელი აღმოჩნდა ისეთი, ვინც დააშოშმინა აჟიტირებული მსმენელი და განაცხადა, რომ ამ სიმღერაში განსაკუთრებული არაფერია, რადგან „შვიდკაცას“ შესრულება ჩვეულებრივი ქართული სუფრის თანმდევი ეტაპია.

# ქეთა თოფურიამ ქალიშვილი გამოაჩინა



„ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია დიდხანს და საგულდაგულოდ მალავდა პაპარაცებისგან თავის ქალიშვილს, მაგრამ 5 თვის იუბილესთან დაკავშირებით, მომღერალმა გადაწყვიტა, თავისი მზეთუნახავი ფართო საზოგადოებას გააცნოს.

ქეთამ პატარა ოლივიას ფოტოები სოციალურ ქსელში სახის დაფარვის გარეშე გაავრცელა, თუმცა პატარა მზის სათვალეებში პოზირებს. ქეთამ და ოლივიამ 5 თვის იუბილე ორიგინალურად აღნიშნეს და პატარას გარდერობი განაახლეს. სამოსთან ერთად, ახალბედა დედიკომ ჩათვალა, რომ მის გოგონას მზის სათვალეებიც სჭირდება და „ინსტაგრამზე“ ქეთამ ოლივიას სწორედ ასეთი ფოტოები ატვირთა.

მომღერალი სცენას სექტემბრიდან დაუბრუნდა, მაგრამ ხანგრძლივ გასტროლებზე უარს ამბობს. ამის მიზეზი პატარა ოლივიაა. მომღერალს არ სურს ძიძა ჰყავდეს, ამიტომაც სულ პატარასთან ერთად არის, სამსახურშიც კი თან დაატარებს და სურს, შვილის აღზრდას და საოჯახო საქმეებს დამოუკიდებლად გაუძლვეს.

ბავშვს მშობლები მოფერებით „ლივის“ ეძახიან. თოფურიასთვის ოლივია პირველი შვილია, ლევ გეიხმანისთვის კი მეორე. მას უკვე ჰყავს 16 წლის გოგონა პირველი ქორწინებიდან, რომელსაც დედინაცვალთან კარგი ურთიერთობა აქვს.

ქეთამ და ლევმა 2013 წლის 7 სექტემბერს იქორწინეს. მათ ქორწილს რუსული და ქართული შოუ-ბიზნესის არაერთი ცნობილი სახე ესწრებოდა. როგორც ქეთა ამბობს, შვილმა მას თავდაჯერებულობა და ძალა შემატა.

# ძმები მელაძეები ცოლებთან ერთად გამოჩნდნენ

მიუხედავად იმისა, რომ კრემლის სასახლის სცენაზე ძმები მელაძეები და ჯგუფ „ვიაგრას“ „ოქროს შემადგენლობა“ ხშირად წარმდგარა მაყურებლის წინაშე, ორი დღის წინ მათ მაყურებელმა პირველად დაუკრა ტაში, როგორც ორ ოჯახურ წყვილს.

რუსული გამოცემა „7 დნეი.რუ“-ს ცნობით, ვალერი და კონსტანტინე მელაძეები „ვიაგრას“ ყოფილ სოლისტებთან თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობენ და არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ ორივე ძმამ სამ-სამი შვილი მიატოვა.

კონსტანტინე მელაძე და ვერა ბრეჟნევა კარგა ხანია კიევში ცხოვრობენ. მათ საკუთარი ურთიერთობის ოფიციალურად დაკანონება გადაწყვიტეს და რამდენიმე კვირის წინ იტალიაში იქორწინეს, სწორედ იმ ქალაქში და იმ ადგილას, სადაც ერთმანეთი გაიცნეს, თუმცა გუშინწინდელ საღამომდე ისინი ერთად მხოლოდ სხვა ქვეყნებში კონცერტების დროს გამოდიოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ვალერი მელაძეს და ალბინა ჯანაბაევას ჯერ არ დაურეგისტრირებიათ თავიანთი ურთიერთობა, ვარსკვლავები არ მალავენ, რომ უკვე წლებია ერთად ცხოვრობენ და ორ საერთო შვილს ბიჭებს ზრდიან.

ვალერი მელაძისგან განსხვავებით, რომელიც წუთით არ შორდება ალბინა ჯანაბაევას, მის ძმას არ უყვარს პირად ცხოვრებაზე ყურადღების გამახვილება და საკუთარ ცხოვრებაზე მორიდებით საუბრობს. კონსტანტინემ მხოლოდ ერთხელ გაბედა და ერთ-ერთ რუსულ გადაცემაში თავის ყოფილ ოჯახზე და შვილებზე ისაუბრა. ვინაიდან კონსტანტინეს არ უყვარს პირად ცხოვრებაზე ხმამაღლა ლაპარაკი და ამის ხაზგასმა, ამიტომ საფინალო სიმღერის დროს და საერთო ფოტოს გადაღებისას ის და ვერა ბრეჟნევა ერთმანეთის გვერდითაც კი არ იდგნენ.



# თბილისის ბიგ-ბენდი ჯაზფესტივალზე მიიწვიეს



თბილისის მერიის ბიგ-ბენდი მინსკის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე მიიწვიეს. ბიგ-ბენდი მინსკში სპეციალური პროგრამით ჩავა. კონცერტზე შესრულდება საორკესტრო და ვოკალური ჯაზური კომპოზიციები. ფესტივალის ორგანიზატორების მოთხოვნით, ბენდს ქართული პროგრამაც მიაქვს. სოლისტები კი ორიგინალურ ქართულ სამოსში იქნებიან გამოწყობილები.

ბიგ-ბენდთან ერთად ბელორუსში კრიტიკოსების მიერ ვოკალური ჯაზის ლეგენდად აღიარებული მიშელ ჰენდრიქსი იმღერებს. მისი კარიერა ლეგენდარული მამის ჯონი ჰენდრიქსის გრანდიოზულ პროექტებში დაიწყო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მიშელი აქტიურად გამოდიოდა სცენაზე მამასთან ერთად. სხვადასხვა წლებში მას ნამღერი აქვს ისეთ ლეგენდარულ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან ჯორჯ ბენსონი, ბენ კარტერი, ელ ჯერო, ბობი მაკფერენი და მანჰეტენ ტრანსფერი.

ამერიკელი მომღერალი ქართულ ორკესტრთან ერთად ექვს სიმღერას შეასრულებს.

მინსკის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი წელს მეოთხედ 19-21 ნოემბერს იმართება და მასში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები ამერიკიდან, იტალიიდან, კუბიდან და ნიდერლანდებიდან.

თბილისის ბიგ-ბენდის კონცერტები მინსკში 19 და 20 ნოემბერს გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# დადიანზე ქარმა ნაძვი მოგლიჯა და ავტომანქანებს დაეცა





გუშინ ძლიერი ქარის გამო ნაძალადევის რაიონში უზარმაზარი ნაძვი წაიქცა. მეტრო „სადგურის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ცოტნე დადიანის №33-თან ნაძვი ასფალტიდან ფესვებიანად ამოვარდა და ავტომანქანებს დაეცა.

წინასწარი ინფორმაციით, დაზიანებულია 6 ავტომობილი. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაშავებულები არ არიან. ადგილზე ამ წუთებში სამაშველო ბრიგადები და საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მუშაობენ.

საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლები ამ წუთებში ხეს ხერხავენ და გაწმენდით სამუშაოებს ატარებენ. შექმნილი ვითარების გამო დადიანის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა შეფერხებულია.

*ინტერპრესნიუსი*

# ფოთის თეატრში სასცენო ლიფტი ჩაწყდა და თეატრის თანამშრომელი დაშავდა

ფოთის თეატრში სასცენო ლიფტი ჩაწყდა, რომლის დროსაც შიგნით თეატრის თანამშრომელი, სცენის მემონტაჟე იმყოფებოდა.

იგი სხეულის მძიმე დაზიანებებით ზუგდიდის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ვარდნა დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლიდან მოხდა, როდესაც სცენის მემონტაჟეს მაღალ სართულზე სცენის დეკორაცია გადაჰქონდა.

ფოთის ახალი თეატრი შარშან მაისში პომპეზურად გაიხსნა.

*ინტერპრესნიუსი*

# ფოთში ქარბორბალამ საცხოვრებელი სახლები დააზიანა

ფოთში ქარბორბალამ რუხაძის ქუჩაზე ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს სახურავი მთლიანად გადახადა, დაზიანებულია კერძო საცხოვრებელი სახლები.



ადგილობრივ მთავრობაში სპეციალური შტაბი შეიქმნა, რომელიც ზარალს დაითვლის.

ქარბორბალა ფოთში რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ზღვის ღელვა ამ დროისთვის 5-6 ბალს შეადგენს.

*ინტერპრესნიუსი*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# სამგლოვიარო განცხადებები

გურამ გურგენიძე და რამაზ მიქაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების

**ნუგზარ გეგიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

ოთხშაბათი 18 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.05 მხ/ფ "**აეროპორტი 77**" (ჯ.ლემონი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**სად ხარ?!**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 მხ/ფ "**განქორწინება**" (ჯ.ენისტონი) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ანჯელას ფერფლი**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00,16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 07.00 სერ. "**კარმა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ."**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**მეგობრის საქმრო**" (ჯ.კრასინსკი) 02.40 მხ/ფ "**სხვისი ქორწილი**"

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.30 დ/ფ "ნარკომანია თავისუფლება თუ მონობა" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.20 კონცერტი 17.00 დ/ფ "გაყინული ჩანჩქერები" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ფილატელისტის სიკვდილი**" 20.40 ძილი ნებისა "თავგაუტეხელი კაცი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.30 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 11.05 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ. ფილმი "პროფესია მოგზაური" 16.05 **სერიალი "ტატიანა"** 17.05 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 **სერიალი "ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 **სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 **სერიალი "ფერფლი"** 1.30 **სერიალი "ტატიანა"** 2.15 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ნოემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.401 | ევრო — 2.5751 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.649 | 100 რუსული რუბლი — 3.6298 |

## ამინდის პროგნოზი 18 ნოემბრისთვის






### კალეიდოსკოპი

## ბრიტანელი მსოფლიოს რეკორდსმენი მანქანის გაჩერებაში გახდა




ბრიტანელი ალისტერ მოფატი გინესის რეკორდების წიგნში მას შემდეგ მოხვდა, როდესაც ქალაქ ვეიბრიჯის მახლობლად მდებარე სარბოლ ტრასაზე საკუთარი ავტომობილი მინი კუპერი გაჩერებულ ორ სხვა მანქანას შორის ჩააყენა. მოფატის მანქანასა და მეზობლად მდგარ მანქანებს შორის დაშორებამ საერთო ჯამში 34 სანტიმეტრი შეადგინა.

ბრიტანელი საკუთარი მანქანით უკანა სვლით დიდი სიჩქარით გადაადგილდებოდა, რის შემდეგაც მკვეთრად აიღო საჭე, ბრუნი გააკეთა და თავისი მანქანა ორ გაჩერებულ მანქანას შორის ჩააყენა.

ადგილზე მყოფმა გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მანქანებს შორის მანძილი გაზომეს და დაადასტურეს, რომ მოფატმა ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა ადრინდელი რეკორდი, რომელიც 2012 წელს იქნა დამყარებული.

## „წვნიანი გეებისთვის“ კამათის მიზეზად იქცა



ქალმა, სახელად ჯეს ჰიკსმა, ფეისბუქში საკუთარ აკაუნტში უკმაყოფილება გამოთქვა კომპანია კემპბელის მიერ გამოშვებული კონსერვირებული წვნიანის ჰომოსექსუალური რეკლამის გამო, რომელშიც პატარა ბიჭუნას ორი გეი-მამა უმასპინძლდება წვნიანით. აღნიშნულმა პოსტმა ცხარე კამათი გამოიწვია სოციალურ ქსელში.

თავის სტატიაში ჰიკსმა დაწრა, რომ მას არ მოსწონს რეკლამაში ერთსქესიანთა ოჯახის ხილვა, ვინაიდან ის მოწოდებულია იმისთვის, რომ „გაყიდოს წვნიანი და არა სექსი“. ქალმა მოითხოვა, რომ ეს სარეკლამო რგოლი ამოიღონ ინტერნეტიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში „კომპანია საქმიანობას დაასრულებს“.

ქალმა კომპანიის წარმომადგენლებისგან მიიღო პასუხი, რომელშიც ისინი მას კითხვას უსვამენ: „ჯესი, ნუთუ თქვენ ორი მამაკაცის მიერ ბავშვის დაპურება პორნოგრაფიულ ფილმში აგერიათ?“ რაზეც ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბავშვისთვის რთული იქნება სკოლაში იმის ახსნა, თუ რატომ ჰყავს მას ორი მამა.

## ავარიის შედეგად აქლემი მანქანაში შევარდა

საუდის არაბეთში კიას მარკის ავტომობილის აქლემთან შეჯახების შედეგად ცხოველმა მანქანის საქარე მინა შეამტვრია და მის წინა სავარძელში აღმოჩნდა.

ვიდეო, რომელშიც ასახულია, თუ როგორ ზის აქლემი დაზიანებულ ავტომობილში, გამოქვეყნდა ვებ-გვერდზე ლაივლაიქ და 61 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა. ჩანაწერში ჩანს, რომ ცხოველს ჩამტვრეულ საქარე მინაში აქვს თავი გამოყოფილი, ხოლო ერთ-ერთი ფეხი მარცხენა კარის ფანჯარაშია გამოყოფილი. გარკვეულ მომენტში აქლემი წარუმატებლად ცდილობს მანქანიდან გადმოსვლას.




კია-ში ორი ადამიანი იმყოფებოდა, ისინი ორივენი დაშავდნენ. ავარიის მიზეზი უცნობია.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

## კახა ცხადაძემ ალბანეთთან ვერმოგება მსაჯებს დააბრალა

### ალბანეთი – საქართველო 2:2

**ტირანა. ქემალ სტაფა**

**0:1 ამისულაშვილი (2), 0:2 ჭანტურია (52), 1:2 ბაშა (88), 2:2 ციკალეში (90)**

**ალბანეთი:** ბერიშა (ჰოჯა 74), ლილა (ჯიმშიტი 29), ლენიანი (ბაშა 57), აგოლი, სადიკუ, გაში (ციკალეში 65), ლილაი, ჯაკა (შალა 57), აიეტი, ვესელი, როში (მანაი 64)

**საქართველო:** რევიშვილი, ლობჟანიძე, გრიგალავა, კაშია, ამისულაშვილი, ნავალოვსკი, კანკავა, დაუშვილი, გელაშვილი (ცხადაძე 77), ყაზაიშვილი (კობახიძე 82), ჭანტურია (კაკაბაძე 90)

თამამად შეიძლებოდა დაგვეწერა საოცარი ფრაზა – საქართველოს ნაკრებმა ცუდად ითამაშა და მოიგო, მაგრამ ჩვენებმა იმდენად ცუდად ითამაშეს, რომ მოგება ხელიდან გაუშვეს. ეს მოახერხეს ბოლო 5 წუთში.

გაგრძელება მე-9 გვერდზე




## 19 წლამდე ნაკრები ელიტ რაუნდში ალბანეთმა გაიყვანა

ერთადერთი სასიხარული, რაც ბოლო დღეებში ქართულ ფეხბურთში მოხდა, ეს საქართველოს 19 წლამდე ნაკრების ელიტ რაუნდში გასვლაა.

ცხადია, ფაქტი მართლაც სასიხარულოა, მაგრამ მასპინძლის სტატუსის მქონე ნაკრებს სხვისი დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს.

ვასილ მაისურაძის გუნდს ავსტრიელებთან მატჩში მოგება აწყობდა, რათა ელიტ რაუნდის საგზური მოეპოვებინა. ჩვენებმა ეს ვერ მოახერხეს და უგოლო ფრეს დასჯერდნენ.

სამაგიეროდ, ჩვენი გასაკეთებელი საქმე ალბანელებმა გააკეთეს, რომლებმაც 3:2 სძლიეს უელსს და მეორე ადგილზე დაგვტოვეს.

კიდევ უფრო საოცარი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა 3 მატჩში მხოლოდ 1 გოლი გაიტანა და შემდეგ ეტაპზე მაინც გავიდა. ჩვენებმა 1:0 ალბანელებს მოუგეს, 0:3 წააგეს უელსთან, ხოლო ავსტრიელებზე ზევით დავწერეთ.

**საქართველოს ნაკრებმა ავსტრიელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა:**

გოშაძე, ნადარაია, ლოჩოშვილი, კაკიაშვილი, ართმელაძე, ბაშალეიშვილი (ალთუნაშვილი, 66), მამუჩაშვილი, კომახიძე, კიკნაძე (გვარაძე, 80), გოშთელიანი (კ), მიქელთაძე (ბიძინაშვილი, 66)

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 2.საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| 3.ალბანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| 4.უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |




## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას იტყვი ჩვენს პარლამენტარებზე?

– ზოგი კანონის დამწერი და მიმღები ისეთი „მაღალია“, რომ დამჯდარიც ამდგარს ჰგავს...

●●●

პატარა დაიკო ძმას ეკითხება:

– რა არის სიყვარული?

– სიყვარულია, როდესაც ვიცი, რომ ყოველდღე ჩემი ჩანთიდან შოკოლადს იპარავ, მე კი მას ადგილს მაინც არ ვუცვლი...

●●●

წუწუნი ქართული სიტყვაა და ნიშნავს „მე შენზე მეტი ფული მაქვს“.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ადამიანები ყველაზე ბევრს როდის იტყუებიან?

– არჩევნების წინ, ასევე ნადირობის და თევზაობის შემდეგ.

●●●

საუბარი ტელეფონზე:

– 5 წუთში ვერ გადმომირეკავ?

– რატომ?

– უბრალოდ, ახლა ჩემს გვერდით ქალბატონები არიან და თავისუფლად ვერ გაგინებ...

●●●

დედამ ჩვეულებრივი სარეცხი საშუალებით 30 თეფში გარეცხა. შვილმა „ფეირით“ – 65 თეფში, 4 ქვაბი და 3 ტაფა. ამოცანა გვეკითხება:

– რამდენი დღეა ჭურჭელი არ დარეცხილა და რამდენი კომპიუტერია ოჯახში?

●●●

უკიდურეს ჩრდილოეთში ჩუქჩას კონსერვები, გაზეთები, ტელევიზორი და რადიო ჩაუტანეს. ჩუქჩა თავის მეგობარს უყვება:

– გაზეთი გადავშალე – პუტინის სურათია.

– რადიო ჩავრთე, პუტინი ლაპარაკობს.

– ტელევიზორი ჩავრთე, პუტინს აჩვენებენ.

– კონსერვის გახსნის მეშინია...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ იმხელა ქელეხის სუფრაზე ვიყავი, თამადა სკაიპით გავიცანი.

– ეგ რა არის, ქორწილში იმ სიგრძე სუფრა იყო გაშლილი, ლიმონათი ბოლოში რომ ჩაჰქონდათ, უკვე ვადა ჰქონდა გასული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ცეკვა. 2. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 3. იტალიაში მოთამაშე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების წევრი; 4. სახელმწიფო სკანდინავიაში; 7. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. სიტყვების წარმოთქმის მანერა; 15. საფეხურებად გადმომჩქეფარე ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 5. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. ზოდიაქოს ნიშანი; 11. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში, ცეკვაში; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. იაპონური ავტომობილი; 19. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება; 21. მკბენარა მწერი; 22. განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

